# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 11 ოქტომბერი 2008 №235 (3459) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვიგოთ და ყველაფერი წინაა

## კუპერს ქართველები კარგად და ძალიან კარგად უგებენ

## კვიპროსელთა მკლებზი: კალაძე ნუგეში არ არის





# დანიელე დე როსის საქართველო: თითქმის იტალიელი მწვრთნელი და იუვეს მტერი

— სექტემბერში სულ სხვა საქართველოს წინააღმდეგ ვითამაშეთ და მიმაჩნია, რომ ეს ახალი მწვრთნელის დამსახურებაცაა. იგრძნობა, რომ მან ნაკრებში თავის არჩევანი გააკეთა, უბრალოდ, ცოტა დრო საჭირო, რომ შედეგი მიიღოთ.

— კუპერი დიდი მწვრთნელია, მე ის ყოველთვის იტალიელ მწვრთნელებს მაგონებდა. ჩვენი სტილი აქვს...

— კახა კალაძე გაწონასწორებული, ზრდილობიანი ფეხბურთელია, რომელსაც მინდორზე არც ფეხბურთი ეშლება და არც ქცევა. ბევრ ქართველს არ შევხვედრივარ, თუმცა ვისაც შევხვდი, დავრწმუნდი, რომ კულტურული და სასიამოვნო ერი უნდა იყოთ...

— ლევან მჭედლიძე კარგი ფეხბურთელი ჩანს. ჯერ ბავშვია და თუ ასე გააგრძელა, დიდი მომავალი ექნება. თუ „იუვენტუსს" გოლები კვლავ გაუტანა დიდად მადლიერი დავრჩები...

— ყენია! მჭედლიძის მსგავსად, ისიც ახალგაზრდა და ნიჭიერია...

ახლა ბულგარეთს ვეთამაშებით თუ საქართველოს? – გაუკვირდა „რაის" კორესპონდენტს, როდესაც დანიელე დე როსი ექსკლუზიურ ინტერვიუზე ქართველ ჟურნალისტს დათანხმდა



დანიელე დე როსის ლევან ყენია ძალიან მოეწონა



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ეკლებზე...
## სტუმრებმა ბევრი იხმაურეს

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" დაბანაკებულმა კვიპროსის ნაკრებმა გუშინ პრესკონფერენციაზე კი დაგვიბარა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მათმა მწვრთნელმა ანგელოს ანასტასიადისმა და გუნდის ლიდერებმა, იოანის ოკასმა და მიხალის კონსტანტინუმ მხოლოდ თვისტომ ჟურნალისტებთან ისაუბრეს. ბერძნულად მათი ნალაპარაკევი, აბა, ჩვენ არ გვესმოდა და სხვა ენაზე სიტყვას კიდევ ისინი გაურბოდნენ...

მოკლედ, მწვრთნელი, კვიპროსის ნაკრების გამორჩეული ფეხბურთელები და სტუმართა დელეგაციის რამდენიმე წევრი დარბაზში მხოლოდ თავიანთ ჟურნალისტებს დაენახვნენ, ჩვენ კი შემოგვითვალეს, საქმეს მოვილევთ და შემდეგ, რამდენიმე წუთს დაგითმობთ, ნათქვამს პრესსამსახური გითარგმნითო.

რა გაეწყობოდა, დარბაზსგარეთ ლოდინმა დაახლოებით ნახევარი საათი მოგვიწია, უქმად მყოფი სხვა კვიპროსელი ფეხბურთელები კომპიუტერებით, ტელეფონებითა და ერთმანეთში ლაზღანდარობით იქცევდნენ თავს, უფროსები საორგანიზაციო საკითხებით იყვნენ დაკავებულნი... დარბაზიდან კი ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ეტყობა, ჩვენი კვიპროსელი კოლეგები ანასტასიადისს იტალიასთან წაგების მიზეზებზე ჩაუკირკიტდნენ, რამაც მწვრთნელი გაალიზიანა.

მოგვიანებით სტუმარი ჟურნალისტების ადგილები უკვე ჩვენ დავიკავეთ, თუმც წამოდგომაც მალე მოგვიხდა, ანასტასიადისმა, მხოლოდ სამ კითხვაზე გიპასუხებთო...

აგერ, მისი სიტყვებიც:

— კვიპროსის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი წააგო და ახლა უკვე ყველა შეხვედრას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად არც ირლანდიასთან 15 ოქტომბრის თამაშზე ვფიქრობ და საქართველოს გარდა არც სხვა მეტოქეზე. დღეს ჩემი საფიქრალი მხოლოდ საქართველოსთან თამაშია და ძალიან მსურს, რომ შინ მოგებულები დავბრუნდეთ.

— საქართველოს ნაკრებზე მომდის ინფორმაციები, მაგრამ მხოლოდ სიტყვებზე დაყრდნობა არ შეიძლება. ვიცი, რომ ვერ ითამაშებს კახა კალაძე, თუმც ეს ამბავი ჩემთვის არც ისე დასამშვიდებელია, საქართველოს კალაძის გარდა, რამდენიმე ძალიან ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს. ისიც გავიგე, რომ კალაძის გარდა, შეიძლება, საქართველომ ჩვენთან ისეთივე შემადგენლობით ითამაშოს, როგორც ბოლოს იტალიასთანო, თუმც, გავიმეორებ, ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდებია და სინამდვილეში როგორი შემადგენლობით იქნება საქართველო კვიპროსთან ან კიდევ მეტოქე როგორ ტაქტიკას აირჩევს, ვერ გეტყვით, ეს მატჩისას გამოჩნდება. თუმც კი მაინც ჩვენი კოზირების გამოყენებას შევეცდებით.

— საქართველოსთან შეხვედრაში ფრე მხოლოდ იმ შემთხვევაში დამაკმაყოფილებს, თუ მეტოქემ თამაშით გვაჯობა, მაგრამ მოგება ვერ შეძლო. ხოლო საპირისპიროდ თუ მოხდება, ჩვენთვის ეს საწყენი იქნება. ისე კი, ცხადია, კვიპროსი თბილისში მოსაგებად ჩამოვიდა და გვსურს, სამი ქულა მოვიპოვოთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

ანგელოს ანასტასიადისი თითქოს ეკლებზე იჯდაო, მესამე კითხვაზე პასუხის შემდეგვე წამოხტა, მადლობა თქვა და წავიდა.

ბევრი არც იოანის ოკასსა და მიხალის კონსტანტინუს უთქვამთ...

*იოანის ოკასი:* ძალიან რთული მატჩი გველის, თუმც იმედიანად ვარ და მჯერა, რომ გავიმარჯვებთ. საქართველოს, მართლაც, კარგი გუნდი ჰყავს და ეს იტალიასთან შეხვედრამაც გამოაჩინა, მაგრამ იტალიასთან ჩვენც კარგად ვითამაშეთ და ახლა მშვენიერი ფსიქოლოგიური განწყობა გვაქვს. საქართველო მასპინძელია და, ჩემი აზრით, უპირატესობაც ესაა.

*მიხალის კონსტანტინუ:* როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კვიპროსმა იტალიასთან კარგად ითამაშა, ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ, მაგრამ მაინც წავაგეთ. ძალიან მსურს, თბილისში ეს აღარ განმეორდეს და კარგ თამაშთან ერთად, მოვიგოთ კიდეც. კვიპროსის ნაკრები, ზოგადად, შინ უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად, მაგრამ იმედი მაქვს, საქართველოსთან მატჩისას სხვანაირად მოხდება.

**ბოგა ინასარიძე**

# ფიფას ღირსების ორდენი დიდ ნოდარ ახალკაცს

**იოზეფ ბლატერი** ფიფას სხვა მესვეურებთან ერთად დღეს საქართველოში რომ ჩამოვა, არახალია.

ფიფას პრეზიდენტი დაახლოებით 13 საათზე ჩამოფრინდება თბილისში, 15.30 საათზე საგურამოს ტექნიკურ ცენტრს საზეიმოდ გახსნის, 17 საათზე სასტუმრო „თბილისი მერიოტში" პრესკონფერენციას გამართავს, მერე კი, ცხადია, საქართველო — კვიპროსის მატჩს დაესწრება.

გუშინაც ვწერდით, რომ მატჩამდე ბლატერი უშუალოდ მინდვრიდან ოფიციალურ მიმართვას გააკეთებდა.

გარდა ამისა, ფიფას პირველკაცი დღევანდელი თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე თბილისის „დინამოს" ოქროს თაობის მწვრთნელსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველ პრეზიდენტს, უფროს ნოდარ ახალკაცს სიკვდილის შემდეგ ფიფას ღირსების ორდენით დააჯილდოვებს — ბლატერი



ბადრი კეთილაძის ფოტო

ორდენს უმცროს ნოდარ ახალკაცს გადასცემს.

წლეულს ცნობილ ნოდარ ახალკაცს 70 წელი შეუსრულდებოდა...

**ილია ნანობაშვილი**

# მარკოვი არაფერს მალავს: იგრძენით განსხვავება

ეს დღეები მთელი ბულგარეთი იტალიასთან მატჩის მოლოდინშია და, ცხადია, საქართველოზე ჯერ არ ფიქრობენ.

სლავები 14 ოქტომბერს, ჩვენებთან თამაშის წინა დღეს ჩამოვლენ თბილისში, თუმც მოდით, სრულად ვთქვათ მათ განრიგზე:

12 ოქტომბერი:

12 საათი — ღია ვარჯიში ცარსკოე სელოს ბაზაზე.

13 ოქტომბერი:

12.30 საათი — პლამენ მარკოვის პრესკონფერენცია.

12.30-13.30 საათი — ნაკრების ფეხბურთელებთან ინტერვიუებისთვის გამოყოფილი დრო.

17 საათი — ღია ვარჯიში „ვასილი ლევსკის" სტადიონზე.

14 ოქტომბერი:

11 საათი — თბილისში გაფრენა.

19.45 საათი — პლამენ მარკოვის პრესკონფერენცია ეროვნულ სტადიონზე.

20.30 საათი — ვარჯიში ეროვნულ სტადიონზე, რომელიც 15 წუთით იქნება ღია.

P. S. როგორც ხედავთ, ექტორ კუპერისგან განსხვავებით, მარკოვი სულაც არ ერიდება პრესასთან ურთიერთობას და ღია ვარჯიშებსაც ატარებს. რას იზამ, კაცია და გუნებაო, ნათქვამია.

კუპერის ამგვარ სიჩუმეს კიდევ გავიგებდით, ბევრი კრიტიკა რომ ატყდებოდეს თავზე და ალმაცერად ვუყურებდეთ, მაგრამ არგენტინელმა კარგად იცის, რომ მის ეროვნულ ნაკრებში დანიშვნას თითქმის ყველა კმაყოფილი შეხვდა საქართველოში და იშვიათად, რომელიმე ჟურნალისტს მასზე გადაეტეხა ჯოხი სექტემბრის მარცხების გამო.

**ილია ნანობაშვილი**

### ბელგია

II დივიზიონი

ეუპენი 0:3 ლიერსი

### ჩეხეთი

II დივიზიონი

ვიტკოვიცე 2:0 ოპავა

მოსტი 0:1 უსტი

### ფინეთი

იკონენი

ჰამეენლინა 2:0 პკ 35

### საფრანგეთი

II დივიზიონი

ბასტია 0:0 დიჟონი

ბრესტი 0:3 მონპელიე

კლერმონი 0:0 ტურსი

ნიმი 1:1 ამიენი

სედანი 1:1 რეიმსი

ტრუა 2:0 აიაჩო

ანჟერი 3:0 სტრასბური

შატორუ 1:1 მეცი

ვანი 0:0 ბულონი

III დივიზიონი

კალე 1:0 შერბური

არლი 3:2 ლიბურნი

კასისი 3:1 კანი

კრეტეი 1:1 ბუვე

გენიონი 0:1 სეტე

ლენტენტი 0:2 ისტრი

ლუანსი 1:2 კრუა დე სავუა

ნიორი 0:1 პარიზი

პასი 2:1 ბაიონი

როდესი 2:0 ლავალი

### უნგრეთი

თასი

ჰალადაში 3:2 დიორი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

დროჰედა 1:2 ბოჰემიანსი

ბრეი 2:1 დერი

კორკი 1:1 ფინ ჰარპსი

სტ. პატრიკსი 0:3 კობი

შემროკი 1:1 დუბლინი

პირველი დივიზიონი

ფინგალი 3:1 უეტერფორდი

უეძსფორდი 3:1 დანდალკი

მონაგამი — კილდეირი გად.

### უელსი

პრემიერდივიზიონი

კარმართენი 1:1 კერსვი

ჰევერფორდვესტი 2:2 ნიუ საინტსი

პორტმადოგი 2:3 დრუიდსი

რილი 2:0 კონაჰი

### ბრაზილია

სერია A

ბოტაფოგო 3:1 ვიტორია

კრუზეირო 1:0 იპატინგა

სან პაულუ 1:0 ნაუტიკო

### ინგლისი

I ლიგა

ნორთჰემპტონი 1:0 ჰარტლპული

II ლიგა

დაგენემი 2:0 ბარნეტი

ლინკოლნი 1:1 როჩდეილი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ავსტრია 2:1 ფინეთი

თურქეთი 1:0 ბელარუსი

გერმანია 1:1 საფრანგეთი

უელსი 2:3 ინგლისი

### ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ნორვეგია 4:2 სლოვენია

ბელგია 2:2 ხორვატია

ყაზახეთი 1:2 ესტონეთი

სერბეთი 5:0 ალბანეთი

სლოვაკეთი 3:1 სომხეთი

ჩრდ. ირლანდია 1:3 ინგლისი

### ამხანაგური მატჩები

ალტახი 0:0 აარაუ

ფრაიბურგი 4:2 შაფჰაუზენი

ბორდო 0:2 ნანტი

გლადბახი 0:3 ლაუტერნი

ჰოფენჰაიმი 5:1 ფრანკფურტი

აუსტრია 3:3 დორტმუნდი

ვარეგემი 1:2 ჰერენვენი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი

კამბური 2:0 დორდრეხტი

დენ ბოსხი 5:0 ემენი

ექსელსიორი 2:1 ომნივოლდი

ჰაარლემი 0:4 ვენლო

ჰელმონდი 3:0 ოსი

მაასტრიხტი 2:0 ტელსტარი

როზენდალი 3:0 აპელდორნი

ვეენდამი 2:0 იგლზი

ვალვაიკი 2:0 სიტარდი

ზვოლე 2:2 ეინდჰოვენი

### აშშ

მეიჯორ ლიგა

სოლტ ლეიკი 1:1 ნიუ იორკი

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
VEGA SLOT POKER CLUB




ბადრი ქეთილაძის ფოტო

# სიურპრიზის მოლოდინში

## ექტორ რაულ კუპერი: 3 ქულა წინსვლას გვანახებს

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა „ეროვნულზე" გუშინ ნაშუადღევს, ხუთის ნახევარზე დაიწყო ვარჯიში, რაც ნოვაციაა — ზოგადად, მატჩის წინა დღეს ზუსტად იმ დროსაა ხოლმე ვარჯიში, რა დროსაც თამაშია დანიშნული. ამ შემთხვევაში უპირატესობა სტუმარს აქვს, თუმცა ისიცაა, რომ არც კვიპროსელებს უვარჯიშიათ გუშინ 20.30 საათზე. ასე რომ, ცოტა არ იყოს, უცნაურია...

მოკლედ, ექტორ რაულ კუპერმა უკეთ იცის...

ვარჯიშამდე ნახევარი საათით ადრე კი არგენტინელმა სპეციალისტის პრესკონფერენცია გაიმართა...

**— როგორი განწყობაა გუნდში?**

— ძალიან კარგი, საბრძოლო განწყობაა. საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ყველამ იცის, რა მნიშვნელობის მატჩი ელით. მცირე პრობლემები ჰქონდა ლევან ყენიას, სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა, თუმც ახლა ყველაფერი რიგზეა. ყენია მზადაა კვიპროსთან სათამაშოდ. გუნდში ბევრი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატიდან მყავს და არ გამოვრიცხავ, ხვალ მათგან სიურპრიზიც ნახოთ.

**— მეტოქისგან როგორ თამაშს ელით?**

— კვიპროსმა ძალიან კარგად ითამაშა იტალიასთან. კარგი ნახევარმცველები და თავდამსხმელები ჰყავთ, სწრაფი შეტევები იციან. ვიცი, ისინი მხოლოდ დაცვაში არ იდგებიან, თავიანთი შანსის მაქსიმალურად გამოყენებას ეცდებიან.

**— რამდენად მნიშვნელოვანი პლუსია გულშემატკივართა მხარდაჭერა, რაც ნაკრებს ირლანდიასთან მაინცურ მატჩში აკლდა?**

— ცხადია, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პლუსია თითოეული ფეხბურთელისთვის.

**— რაც საქართველოს ნაკრებს ჩაუდექით სათავეში, პროგრესს თუ გრძნობთ თამაშში?**

— აშკარად, გუნდმა საკმაო წინსვლა განიცადა და ხვალ თუ სამ ქულას ავიღებთ, ეს ამის ნათელი დადასტურება იქნება. რაც დრო გადის, ფეხბურთელები სულ უფრო უკეთ იგებენ, რა მსურს მათგან და არიან ფეხბურთელები, რომლებიც ამას ძალიან კარგად იგებენ. ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ: უელსთან, ირლანდიასთან და იტალიასთან შეხვედრები რომ ავიღოთ, მატჩიდან მატჩამდე ვაუმჯობესებდით თამაშს.

**— ჯგუფში შექმნილ სატურნირო მდგომარეობას და საქართველოს შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— იტალიამ ორიდან ორი თამაში მოიგო, რაც მოსალოდნელიც იყო. ირლანდიამ ოთხი ქულა აიღო... თუმც ქულებში დიდი სხვაობა ჯერ არ არის და ვერ ვიტყვი, თითქოს ჩვენთვის მდგომარეობა დიდად გაუარესდა. ჯერ ყველაფერი წინაა.

— კაპიტანი ვინ იქნება ხვალ?

— ჯერ არ ვიცი.

რაც შეეხება ვარჯიშს, მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და 21-წლამდელთა ნაკრების ჯერაც მთავარი მწვრთნელი პეტარ სეგრტი დაესწრნენ. ხორვატი სპეციალისტი სათითაოდ ყველა ფეხბურთელს ჯიგრიანად ჩაეხუტა.

როგორც იქნა, ჩვენების ვარჯიშს ცოტა ხნით მაინც შევავლეთ თვალი. უფრო სწორად, ძუნძულს ვუყურეთ, 10 წუთში კი ვარჯიში დაიხურა. როდესაც ასე გასაიდუმლოებულია წვრთნა, ბუნებრივია, რაღაც განსაკუთრებულ სიახლეებს უნდა ველოდოთ და ვნახოთ, რა სიურპრიზები აქვს მომზადებული კუპერს კვიპროსელთათვის...

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 11 ოქტომბერი. 20.30 საათი. ეროვნული

### საქართველო — კვიპროსი

მსაჯები: რ. მატეიეკი, პ. ფილიპეკი, ი. ჩიტილი, ლ. კოვარიკი (ყველა ჩეხეთი);
უეფას დამკვირვებელი: მ. ვოტრო (საფრანგეთი); დელეგატი: გ. კაპლი (ავსტრია)



ბადრი ქეთილაძის ფოტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩერნოგორია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# ფედერაციის საგზაო ნიშნები

**საქართველოს** ნაკრებს დღეს და ოთხშაბათს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ორი მატჩი ელის — ჩვენები ჯერ კვიპროსს მასპინძლობენ, შემდეგ ბულგარელებს.

ორივე ეს შეხვედრა მაღალი დონის რისკის მატჩად ითვლება და ამიტომაც ეროვნული სტადიონისკენ მიმავალ ქომაგთ გზად თუ უჩვეულოდ მეტი ბარიერი დაგხვდათ, ანაც უწინდელზე უფრო გულდასმით შეგამოწმეს, ნუ გაიკვირვებთ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენმდივანი პაატა ბურჯალიანი და ფედერაციის მარკეტინგის მენეჯერი დიმიტრი ბოკერია ორიოდ დღის წინ თბილისის მერიისა და ყველა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდნენ, ხოლო გუშინ ისინი ეროვნულ სტადიონს ერთხელაც ესტუმრნენ.

შეხვედრისას დეტალურად ითქვა, რომ საომარი მოქმედებების შემდეგ ორივე მაღალი რისკის მატჩად ითვლება და სწორედ ამიტომ, კვიპროსთან და ბულგარეთთან შეხვედრებს უეფას სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელიც დაესწრება და ცხადია, მას თავისი სტატუსი ექნება.

დღეს სამანქანო მოძრაობა გადაიკეტება ცაბაძის, თამარ მეფის, წინამძღვრიშვილისა და ყოფილი საგურამოს, ამჟამად კი მეტრეველის ქუჩებზე. რა თქმა უნდა, ყოველივეს საპატრულო პოლიცია გააკონტროლებს სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად. ხოლო ქომაგთა დასაკვალიანებლად 60 სტიუარდი იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საფეხბურთო სკოლების მოწაფეთათვის და დევნილთათვის გადადებული ბილეთების გარდა 250 მოსაწვევი გადასცა კომანდოს ბატალიონს.

ფეხბურთის ფედერაციის თხოვნაა, რომ აღმოსავლეთ ტრიბუნის ბილეთების პატრონები სტადიონზე წერეთლის გამზირიდან შევიდნენ. სამხრეთ ტრიბუნისკენ მისვლა ქომაგთ ცაბაძის ქუჩიდან გაუიოლდებათ, ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მოხვედრა უფრო მოსახერხებელი მეტრეველის ქუჩიდან იქნება, ხოლო დასავლეთით მსხდომთათვის ყიფიანის ქუჩის დასაწყისიდან.

დღეს „ეროვნულზე" ანშლაგია მოსალოდნელი და ამიტომაც, რაც მეტად დავიცავთ წესრიგს და გავითვალისწინებთ ორგანიზატორთა თხოვნას, მით მეტად კომფორტულად ვიქნებით. თანაც ნუ დავივიწყებთ, კვიპროსთან მატჩს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც დაესწრება.

მოკლედ, მოგების იმედად...

**ბოგა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია ჭიჭავა რომიდან



# ხუმარა დე როსი ძალიან სერიოზულია

## ქართველებო, წამოდით სამხრეთ აფრიკაში!

9 ოქტომბერს ფლორენციაში იტალიის ნაკრების ბაზაზე ჩასვლისას ვერც წარმოვიდგენდი, რომ რომში „სკუადრა აძურასა“ და „რომას“ ვარსკვლავის, დანიელე დე როსის ექსკლუზიური ინტერვიუთი დავბრუნდებოდი. კოვერჩანოში მკაცრი წესებია და ნაკრების ფეხბურთელებთან პრესსამსახურის გარეშე მიახლოება და კითხვების დასმა სასტიკად აკრძალულია.

იტალიაში სპორტულ ჟურნალისტებს ნაყოფიერი მუშაობის მაქსიმალური საშუალება აქვთ, მაგრამ ნაკრებისა და გრანდი კლუბების ფეხბურთელებთან პირისპირ ინტერვიუების აღება, განსაკუთრებით შუა სეზონში, თითქმის შეუძლებელია. ეს ფუფუნება აპენინებზე მხოლოდ დიდ ტელეარხებს აქვთ და ამ შემთხვევაშიც ნაკრებისა და გუნდების პრესამსახურის ნებართვის შემდეგ.

პრინციპში, მსგავს ინტერვიუებზე მოთხოვნა არც ისე დიდია, რადგან მატჩამდე და მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციებზე ფეხბურთელები მეტ-ნაკლებად ყველა აქტუალურ კითხვას პასუხობენ. თუმცა ბოლო დროს „რომას“ ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენციებზე გამოსვლაც კი აუკრძალა, რაც დედაქალაქური გუნდის სერია A-ში უხეირო თამაშს და სავარაუდო კრიზისს უკავშირდება.

სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, კოვერჩანოში შეკრებილი ჟურნალისტების დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია იტალიის ნაკრების პრესსამსახურის ფეხბურთელების პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ სიმონე ორატის მოულოდნელმა განცხადებამ, რომ კოვერჩანოს საპრესკონფერენციო დარბაზში სწორედ „რომას“ ფეხბურთელის პრესკონფერენცია გაიმართებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, დე როსისთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა შეუძლებელი იყო, ნახევარსაათიანი პრესკონფერენციის შემდეგ, სიმონე ორატის მივუახლოვდი, თავი წარვუდგინე და ვკითხე, თუ შეიძლებოდა, დანიელესთან ცალკე მელაპარაკა.

ჩემდა გასაკვირვად, საქართველოს ხსენებაზე სიმონე ორატის სახეზე სიმკაცრე გაქრა და ღიმილით მიპასუხა, რომ კოვერჩანოში მისულ ერთადერთ უცხოელ (ქართველ) ჟურნალისტს უარს ნამდვილად ვერ ეტყოდა. საბოლოო დასტურისთვის კი აზრი, ბუნებრივია, თავად დე როსისთვისაც უნდა ეკითხა. იქვე მდგომ „რომას“ ვარსკვლავს ჩვენი დიალოგი კარგად ესმოდა, ამიტომაც, როცა სინორ ორატი დანიელესკენ შეტრიალდა, ფეხბურთელმა კითხვის დასმა არც აცადა და ღიმილით გვითხრა, რომ თანახმა იყო. ამ ამბის მოსწრე იტალიელ ჟურნალისტებს შორის მყოფი „რაის“ ერთ-ერთი კორესპონდენტი ცოტათი დაიბნა, რადგან ვერ მიხვდა, რა შუაში იყო საქართველო და კოლეგებს გადაულაპარაკა — შაბათს ბულგარეთს ვხვდებით თუ საქართველოსო? ჟურნალისტის მიამიტურმა კითხვამ დე როსის ჩათვლით დარბაზში დიდი მხიარულება გამოიწვია და ჩვენც ასე დავიწყეთ ინტერვიუ...

**— დანიელე, პირველ რიგში, „სარბიელისა“ და ქართველი მკითხველის სახელით მადლობას გიხდით ინტერვიუზე დათანხმებისთვის...**

— პირიქით, დიდი მადლობა ქართველებს ამ ინტერესისთვის. ჩემთვის ეს დიდი პატივია.

**— საქართველოს ნაკრებს საკმაოდ კარგად უნდა იცნობდეთ. თუ შეგიძლიათ, დაგვიხასიათოთ?**

— ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებთან რამდენჯერმე მოგვიწია თამაშმა და თავს უფლებას მივცემ, ვთქვა, რომ მართლა საკმაოდ კარგად ვიცნობ თქვენს გუნდს. გამოგიტყდებით, საქართველოს ნაკრები დიდ სიმპათიებს იწვევს. ვფიქრობ, დიდი პოტენციალის გუნდია და გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე აქამდე აჩვენა.

**— და თქვენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა აქამდე თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა?**

— ამის ბევრი მიზეზი არსებობს. საქართველომ ბოლო წლებში ბევრი სირთულე გამოიარა და როცა ახალგაზრდა, თავისუფალი სახელმწიფო ამდენი პრობლემის ფონზე ყალიბდება, რთულია, აქცენტი მარტო ფეხბურთზე გაკეთდეს. ამ სპორტში დიდი წარმატებების მისაღწევად მარტო მონდომება არ კმარა — დიდი ინვესტიციებია საჭირო, თორემ კარგი ფეხბურთელების ნაკლებობას რომ არ განიცდით, ეგ უდავოა.

**— ჩვენს ნაკრებს ახლახან სათავეში ჩაუდგა არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი. ამ ფაქტმა რამდენად დადებითად შეიძლება იმოქმედოს გუნდზე?**

— მეტსაც გეტყვით: მე ცვლილება უკვე შევამჩნიე. სექტემბერში სულ სხვა საქართველოს წინაალმდეგ ვითამაშეთ და მიმაჩნია, რომ ეს ახალი მწვრთნელის დამსახურებაცაა. იგრძნობა, რომ მან ნაკრებში თავის არჩევანი გააკეთა, უბრალოდ, ცოტა დროა საჭირო, რომ შედეგი მიიღოთ. კუპერი ახალი მოსულია და ორ მატჩში რთულია, ძირფესვიანად შეცვალო ყველაფერი.

**— ექტორ რაულ კუპერს იტალიაში კარგად იცნობენ, შეგიძლიათ, დაახასიათოთ?**

— კუპერი დიდი მწვრთნელია, მე ის ყოველთვის იტალიელ მწვრთნელებს მაგონებდა. ჩვენი სტილი აქვს. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ იტალიელი მწვრთნელები სხვა ქვეყნის მწვრთნელებზე უკეთესები არიან, უბრალოდ, აქ მწვრთნელობის დიდი ტრადიციები არსებობს და ამას ყველა აღიარებს. ჩემი აზრით, კუპერი საქართველოს ნაკრებთან ერთად შედეგს აუცილებლად მიაღწევს.

**— და ეს შედეგი შეიძლება იყოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა?**

— აუცილებლად. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია ამის გაკეთება და ეს შესარჩევი ციკლი ამის კარგი შანსია. პირადად მე მთელი გულით გისურვებთ ამ ნატვრის ახდენას. ვიცი, რომ საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ და საფეხბურთო ტრადიციებიც გაქვთ. ბოლოს და ბოლოს, პატარა ქვეყანას ამდენი ევროპული დონის ფეხბურთელი რომ ჰყავს, ასეთ სიხარულს ნამდვილად იმსახურებს.

**— სერია A-ში ორი ქართველი თამაშობს — კახა კალაძე და ლევან მჭედლიძე. მათზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— არა მარტო სერია A-ში, როგორც ვიცი, ევროპის სხვა ქვეყნებშიც თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები და საკმაოდ წარმატებულადაც. რაც შეეხება სერია A-ს, რა თქმა უნდა კალაძეზეც და მჭედლიძეზეც კარგის მეტი არაფერი მეთქმის.

**— ალბათ, კალაძეს მჭედლიძეზე უკეთ იცნობთ...**

— დიახ, კახასთან გაცილებით ხშირად მიწევს მინდორზე შეხვედრა, რადგან უფრო დიდი ხანია, იტალიაში თამაშობს. გაწონასწორებული, ზრდილობიანი ფეხბურთელია, რომელსაც მინდორზე არც ფეხბურთი ეშლება და არც ქცევა. ბევრ ქართველს არ შევხვედრივარ, თუმცა ვისაც შევხვდი, დავრწმუნდი, რომ კულტურული და სასიამოვნო ერი უნდა იყოთ.

**— მჭედლიძემ კვირას იტალიის ჩემპიონატში „იუვენტუსს“ გაუტანა გოლი და იტალიელმა ჟურნალისტებმა ის ძალიან შეაქეს. თქვენი აზრით, „პალერმოში“ ახალი ვარსკვლავი დაიბადა?**

— ამის იმედი მაქვს. მხოლოდ ერთი პირობით, რომ ეს ვარსკვლავი „რომასთან“ შეხვედრისას ძალიან არ იკაშკაშებს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ლევანი კარგი ფეხბურთელი ჩანს. ჯერ ბავშვია და თუ ასე გააგრძელა, დიდი მომავალი ექნება. თუ „იუვენტუსს“ გოლები კვლავ გაუტანა დიდად მადლიერი დავრჩები.

**— საქართველოს ნაკრებიდან სხვა რომელიმე ფეხბურთელი თუ დაგამახსოვრდათ?**

— ყენია! მჭედლიძის მსგავსად, ისიც ახალგაზრდა და ნიჭიერია. ბუნებრივია, მათ ჯერ გამოცდილება აკლიათ, თუმცა დრო ამასაც მისცემთ და მაშინ ქართული თავდასხმა ძალიან საშიში იქნება.

**— „იუვენტუსი“ და „რომა“ ახსენეთ. ორივე იტალიური ფეხბურთის გრანდია და ორივემ ცუდად დაიწყო ჩემპიონატი... თქვენი აზრით, სერია A-ში გრანდების კრიზისია?**

— კრიზისი ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ყველაფერი კარგად ვერ მიდის. მცირე პრობლემებია და მსგავსი სირთულეების გადალახვა დიდ კლუბებს ხშირად უწევთ.

**— იტალიური პრესა თვლის, რომ თქვენი წარუმატებლობის მიზეზი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**



დანიელე დე როსი ალესანდრო დელ პიეროს წინააღმდეგ

— არანაირად. სპალეტის გაცილებით მეტი ლამსახურება აქვს „რომაში“, რაც ყველანაირ კრიზისზე უფრო მნიშვნელოვანია. ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს გუნდიდან და ამაზე არც არავინ ლაპარაკობს. ჩვენ გვჯერა მისი ისევე, როგორც მას ჩვენი და პრობლემებიც ერთობლივად უნდა დავძლიოთ.

**— თუ სპალეტის არა, მაშინ ვისი ბრალია „რომას“ დროებითი ჩავარდნა?**

— თუ დამნაშავე აუცილებლად უნდა მოვძებნოთ, მაშინ ვიტყვი, რომ დამნაშავე თითოეული ჩვენთაგანია. როცა გუნდში რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, ესე იგი, ყველას ბრალია და ვიმეორებ, მხოლოდ ერთობლივი ძალებით თუ შეიძლება პრობლემების დაძლევა.

**— ჟურნალისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ „რომას“ წარუმატებლობა ფრანჩესკო ტოტის არყოფნას უკავშირდება...**

— შეიძლება ასეც იყოს. რა თქმა უნდა, ტოტი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ფეხბურთელი, მაგრამ შეუცვლელი არავინ არის — არც ტოტი და არც დე როსი.

**— სხვათა შორის, ისიც ითქვა რომ ტოტის არყოფნისას გმირის როლი სწორედ თქვენ უნდა იკისროთ...**

— სწორი არ არის იმის თქმა, რომ „რომას“ ფეხბურთელებს შორის გმირის ძებნა საჭიროა. ასევე მიუღებელია ჩემთვის, რომ ეს გმირი ახლა მე უნდა გავხდე. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობდე, თითქოს პასუხისმგებლობას გავურბივარ ან რამის მეშინია. უბრალოდ, ძალიან უსამართლოა ასე ლაპარაკი „რომას“ დანარჩენ ფეხბურთელებთან მიმართებაში. ამ გუნდისადმი ჩემი უსაზღვრო სიყვარული გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე მე „რომას“ მაისურს ჩავიცმევდი. „ჯალოროსის“ გარეშე ჩემი კარიერა და ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. ვერ ვიქნები სხვა გუნდში ის დე როსი, რაც აქ ვარ. მე ვცხოვრობ და ვთამაშობ „რომასთვის“ და არა გუნდის ხელმძღვანელობისთვის ან პოპულარობისთვის. სწორედ ამიტომ, არასდროს დავინტერესებულვარ ჭორებით კლუბის ხელმძღვანელებზე, დანარჩენ ფეხბურთელებზე და საერთოდ მსგავს საკითხებზე.

**— იტალიაში საკმაოდ არიან ფეხბურთელები, რომლებმაც კარიერა მხოლოდ ერთ გუნდს მიუძღვნეს. როგორც, მაგალითად, პაოლო მალდინიმ, ალესანდრო კოსტაკურტამ და ფრანკო ბარეზიმ „მილანს“, ალესანდრო დელ პიერომ „იუვეს“ და ფრანჩესკო ტოტიმ „რომას“. თქვენი აზრით, მათი არჩევანი სწორია, თუ სხვა კლუბებში რომ გადასულიყვნენ, გაცილებით მეტს მიაღწევდნენ?**

— პირველ რიგში, ამ ფეხბურთელების სიას ჩემს თავსაც მივამატებ. ვერ გეტყვით, სწორია თუ არა მათი არჩევანი, მაგრამ უდავოდ ძალიან დასაფასებელი და ლამაზია, როცა ფეხბურთელი უარს ამბობს ყველა სხვა, შეიძლება, გაცილებით ძლიერ კლუბში გადასვლაზე და კარიერის ბოლომდე მხოლოდ ერთი გუნდის ერთგული რჩება. ჩემი ერთადერთი სურვილიც სწორედ ეს არის — ბოლომდე „რომაში“ და „რომასთვის“.

**— ფეხბურთში გულშემატკივრების როლი უმნიშვნელოვანესია. კვირას „სიენასთან“ მარცხის შემდეგ „რომას“ ტიფოზები ცოტა აგრესიულად მოექცნენ თავიანთ ფეხბურთელებს... გული ხომ არ დაგწყდათ?**

— არ დაგიმალავთ და ძალიან მეწყინა.. ბუნებრივია, როცა გუნდი აგებს, ტიფოზების უკმაყოფილება გასაგები და მისაღებიცაა, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი... კვირას სიენაში ჩვენი ტიფოზების შემხედვარეს გული ძალიან დამწყდა. მეგონა, თითქოს სამი წლის უკან დავბრუნდით, თითქოს „რომას“ ამ სამი წლის მანძილზე არაფრისთვის მიუღწევია, თითქოს არაფერი გაგვიკეთებია... ძალიან რთულია, ასეთ მომენტებში გულგრილი დარჩე.. მინდორზე განცდილ მარცხს კიდევ უფრო დიდი, მორალური მარცხი ემატება...

**— საერთო ჯამში როგორ დაახასიათებთ „რომასა“ და „სკუადრა აძურას“ ტიფოზებს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ტიფოზები წყენას ოდნავ აგრესიულად გამოხატავენ, მე მაინც ბედნიერი ვარ, რადგან ჩვენმა ტიფოზებმა ძალიან ხშირად ბევრი მშვენიერი მომენტი გვაჩუქეს. მაგალითად, გასული სეზონის ბოლო მატჩში, როცა „რომას“ ერთი ნაბიჯი აშორებდა სკუდეტოსგან, მარცხის მიუხედავად, ჩვენმა გულშემატკივრებმა უდიდესი ძალა აჩვენეს — ისინი ჩვენ, როგორც სკუდეტოს მფლობელებს, ისე შეგვხვდნენ და ჩვენთან ერთად მაინც იზეიმეს. აი, ეს არის ნამდვილი იტალიური ქომაგობა და აი, ასეთი უნდა იყოს ყველა გულშემატკივარი. ჭირში და ლხინში ერთად.

**— დანიელე, საფეხბურთო სამყარო ახალი საფრთხის წინ დალგა. ALS — ახალი დაავადებაა, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ 40 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებს ემართებათ. გუშინ ფლორენციაში ამ დაავადებას ამხანაგური მატჩიც მიეძღვნა, რომელსაც იტალიის ნაკრების ფეხბურთელებიც დაესწრნენ. თქვენ თუ გეშინიათ ამ დაავადების და რას ამბობენ თქვენი თანაგუნდელები?**

— ეს ძალიან საშიში დაავადებაა, რომლის წინაშეც ამ ეტაპზე განსაკუთრებით უძლურნი ვართ. რა თქმა უნდა, ყველას ძალიან გვეშინია. საჭიროა, დაწვრილებით გამოიძიონ, რა იწვევს ამ დაავადებას. ყველაფერი შეიძლება, იყოს მიზეზი. ამიტომ უფრო მეტი სიფრთხილე და კონტროლია საჭირო. ბიჭები ძალიან შეგვძრა გუშინ სტეფანო ბერგონზოვის ასეთ მდგომარეობაში ხილვამ. რთულია, გულგრილი დარჩე ან ცრემლი არ მოგერიოს ასეთი რამის შემხედვარეს. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ყველაფერი გაირკვევა და ნათელი მოეფინება ამ საშინელი დაავადების გამომწვევ მიზეზებს.

**— ამ საფეხბურთო საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორი რობერტო ბაჯო იყო. იგი დიდი ხანი არ ჩანდა საფეხბურთო სამყაროში, რადგან, როგორც ამბობენ, ფეხბურთიდან გულნატკენი წავიდა...**

— რობი დიდი ფეხბურთელი იყო, მას ძალიან ვაფასებ. სამწუხაროდ, არ ვიცი, სინამდვილეში რა მოხდა და ვინ ატკინა გული ბაჯოს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რობერტო ბაჯო იტალიური ფეხბურთის ლეგენდა და დიდებული პიროვნებაა.

**— ამჟამად მსოფლიოში დიდი ეკონომიკური კრიზისია და ეს პრობლემა, როგორც ჩანს, არც ფეხბურთისგან დგას შორს. როგორც ბრიტანული პრესა წერს, ინგლისური კლუბების ნაწილი ეკონომიკური კატასტროფის პირას არიან. იტალიაშიც თუ არის მსგავსი საშიშროება?**

— მართალი გითხრათ, ამის თაობაზე არაფერი ვიცი. საზოგადოდ, ეკონომიკური კრიზისი საბოლოოდ ყველა ადამიანის ცხოვრებაზე აისახება და დიდი იმედი მაქვს, რომ იტალია, ევროპასთან და დანარჩენ ქვეყნებთან ერთად ამ რთულ პერიოდს გადალახავს.

**— 11 ოქტომბერს ბულგარეთს ხვდებით. როგორ შეაფასებთ ბულგარეთის ნაკრებს და რა შანსები აქვს იტალიას?**

— ბულგარეთი ძლიერი გუნდია და ალბათ დიდ ენერგიას ჩაიქსოვს ამ შეხვედრაში, რადგან მსოფლიოს ჩემპიონებთან თამაშისთვის ალბათ ყველა განსაკუთრებით ემზადება. არა აქვს მნიშვნელობა, ახლა უფრო ძლიერია თუ არა, სახელი მაინც სახელია.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ იტალია ახლა ნაკლებად ძლიერია, ვიდრე 2006 წელს იყო?**

— უბრალოდ, ახლა გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა და ამასთან შეგუებას და შედეგის მიღებას დრო, მოთმინება და დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**— კმაყოფილი ხართ მარჩელო ლიპის დაბრუნებით? როგორ ფიქრობთ, შეძლებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული შედეგის გამეორებას?**

— ლიპი ძლიერი და გამოცდილი მწვრთნელია, მასთან თავს ყველანი კარგად ვგრძნობთ. რაც შეეხება 2006 წლის შედეგის გამეორებას, ამის დიდი იმედი მაქვს. ეს ყველას ძალიან გვინდა და ყველანი მაქსიმუმს გავაკეთებთ ჩემპიონობისთვის.

# მალხაზ ასათიანი: ნაკრები? როცა დამიძახებენ, წავალ!



მალხაზ ასათიანი ახალ თანაგუნდელებთან ერთად

**საქართველოს ნაკრებში გამოუძახებელი მალხაზ ასათიანი კიევის „დინამოს" ნელ-ნელა ეჩვევა. მართალია, უკრაინული კლუბის თავკაცი იური სიომინი ჩვენიანს თანდათან აჩვევს ძირითად შემადგენლობას, მაგრამ ეს ადაპტაციის ამბავია. კიევის „დინამოს" ვებგვერდზე მალხაზთან ინტერვიუ გამოქვეყნდა...**

— გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, არანაირი პრობლემა არ შემქმნია. კარგი კოლექტივია, სასიამოვნო და მხიარული. იმედია, ასეც გაგრძელდება.

— რაიმე სიძნელეები არ შეგხვედრიათ?

— არა. საერთოდ, როცა ადამიანი ერთგან დიდხანს ცხოვრობდა და მერე სხვაგან გადადის, პრობლემები ხვდება, თუმცა რუსეთში არსებული სიტუაცია უკრაინულისგან დიდად არ განსხვავდება და ამდენად, საადაპტაციო პერიოდი კარგი გამოვიდა.

— ბინის საკითხი მოაგვარეთ?

— დიახ, ბინა მომცეს და მალე გადავალ.

— დიდი ხანია, იური სიომინს იცნობთ. როცა მან კიევში გადმოსვლა შემოგთავაზათ, იყოყმანეთ?

— მალევე დავთანხმდი, რადგან სიომინი კარგად მიცნობს და სჯერა ჩემი. რა თქმა უნდა, გამზადებულზე არ მოვსულვარ, ანუ ძირითადში თამაშის გარანტია არ მოუციათ, მაგრამ მაქვს საშუალება, დავამტკიცო, რომ ამის ღირსი ვარ. სიომინმა უდიდესი როლი შეასრულა კიევში ჩემ გადმოსვლაში. მის ნაცვლად სხვა მწვრთნელი რომ ყოფილიყო, ალბათ არ გადმოვიდოდი.

— სიომინი „ლოკომოტივიდან" სამი წლის წინ წავიდა. ამ ხნის განმავლობაში მის სამუშაო სპეციფიკაში რამე შეიცვალა?

— არაფერი შეცვლილა. ის კარგ ადამიანად და შესანიშნავ მწვრთნელად დარჩა. იური პავლოვიჩს „ლოკომოტივში" კარგი შედეგები ჰქონდა და „დინამოშიც" ასეა.

— კიევის „დინამოს" მაისურით უკრაინის ჩემპიონატში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშეთ. როგორია პირველი შთაბეჭდილებები?

— ცხადია, უკრაინაში კარგი და საინტერესო ფეხბურთია, მაგრამ არაერთხელ მითქვამს, რომ რუსული პრემიერლიგა გაცილებით ძლიერია, თუმცა უკრაინაშიც აშკარაა პროგრესი — აქამდე ჩემპიონობისთვის ორი გუნდი იბრძოდა, ახლა კი მათი რაოდენობა მინიმუმ, ოთხია. უკრაინის ჩემპიონატი წლიდან წლამდე უკეთესი ხდება.

— თქვენს პოზიციაზე გუნდში საკმაო კონკურენციაა და ეს ხომ არ გაშინებთ?

— ასეთი სიტუაცია ნებისმიერ სერიოზულ კლუბშია და ნორმალურიცაა. როგორც კონკურენტს, არავის ვუყურებ, უბრალოდ, ჩემს სამუშაოს ვასრულებ, ვვარჯიშობ, დანარჩენს კი მწვრთნელი წყვეტს. გუნდი მართლაც ძლიერია — როგორც დაცვაში, ისე სხვა პოზიციებზეც. ეს ჩემპიონთა ლიგაშიც დავამტკიცეთ და ქვეყნის ჩემპიონატშიც.

— რომელიმე ფეხბურთელთან უკვე დამეგობრდით?

— სამწუხაროდ, მთავარ გუნდში თანამემამულეები არ მყავს. ქართველები კიევის „დინამო 2"-ში თამაშობენ. თუმც აქ ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს.

— ბაზაზე ოთახში ვისთან ერთად ცხოვრობთ?

— მარტო ვცხოვრობ.

— კვირის დასაწყისში, ოთხდღიანი დასვენების დროს რას საქმიანობდით?

— მოსკოვში წავედი და იქ ვისვენებდი.

— საქართველოს ნაკრებში არ დაგიძახეს?

— არა. ალბათ, მწვრთნელმა ჩათვალა, რომ უახლოეს მატჩებში არ დავჭირდებოდი. საშიში არაფერია — როცა დამიძახებენ, მაშინ წავალ!

— ოჯახს კიევში არ გადმოიყვანთ?

— მშობლები საქართველოში ცხოვრობენ და თუ მოინდომებენ, კიევში გადმოსვლას, გამიხარდება.

# ორი გოლით ავტოგოლი

**აზერბაიჯანი 1:2 საქართველო**

**საქართველო:** გ. მაკარიძე, სარაჯიშვილი, გეთიაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გამრეკლიძე, ვ. ნემსაძე (ნ. ჯიშკარიანი 68), თარხნიშვილი, თ. შონია, ხუციძე (თექთუმანიძე 87), როსტიაშვილი, ქანთარია (ხოკერაშვილი 85)

**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**გაფრთხილება:** როსტიაშვილი

**გაძევება:** როსტიაშვილი (65)

**მსაჯი:** მ. ავერდიევი (აზერბაიჯანი)

**გუშინ** სუმგაითში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრებს მეორედ გაეჯიბრა და ამჯერად 2:1 მოუგო (პირველი მატჩი 0:0).

გოლები მეორე ტაიმში გავიდა: 53-ე წუთზე თემურ შონიამ საჯარიმოს მისადგომებიდან შეუტია, რამდენიმე მეტოქე მოატყუა და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. 72-ე წუთზე კი ზვიად ქანთარია შეიჭრა საჯარიმოში და უძლიერესი დარტყმით იხეირა.

მასპინძლებმა 83-ე წუთზე გაქვითეს ერთი ბურთი — ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელში მდგომ ერთ-ერთ ფეხბურთელს მოხვდა და ისე შევარდა კარში — 1:2.

სხვათა შორის, 65-ე წუთიდან ჩვენები 10 კაცით თამაშობდნენ — მსაჯმა ორჯერ გააფრთხილა ვიტჯორჯიელი მიხეილ როსტიაშვილი და...

„დღეს ბიჭებმა უკეთ ითამაშეს, ვიდრე ორი დღის წინ. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ — ჩემი გუნდი ამას იმსახურებდა. ყველამ კარგად ითამაშა და კარგია, რომ ოფიციალური შეხვედრების წინ უცხოური შეკრება მოგებით დავასრულეთ" — განაცხადა ზაურ სვანაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ნოემბრის ბოლოს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელის კვიპროსში. ჩვენების მეტოქეები მასპინძელთა გარდა, დანია და ჩეხეთი იქნებიან.

**კახა ზალამბერიძე**

# ვუჩინიჩი მაინც ითამაშებს



**ჩერნოგორიის** ნაკრების თავდამსხმელ მირკო ვუჩინიჩის ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ის 15 ოქტომბერს იტალიასთან თამაშს შეძლებს.

იტალიური „რომას" ფორვარდს ფეხი და წელი აწუხებდა, თუმცა, ბოლო სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ საგანგაშო არაფერია და ალბათ ის ძირითად შემადგენლობაშიც იქნება.

**კახა ზალამბერიძე**

# აფხაზური ფეხბურთის 100-წლისთავი



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# აფხაზეთმა იუბილეზე მოიგო

**რუსთავი. 10 ოქტომბერი. 15.30 საათი. ფოლადი. 300 მაყურებელი**

**აფხაზეთი 2:1 ქვემო ქართლი**

1:0 ვ. დარასელია (41), 2:0 დარსანია (62), 2:1 ჯიქია (70)

**აფხაზეთი:** ქვაჩახია, ზ. ჯელაძე, ქაჯაია, გუჩუა, გველესიანი, დობროვოლსკი, დარსანია (კილაძე 74), გულორდავა (აბაშიძე 46), ვ. დარასელია (მამარდაშვილი 81), ქუცურუა (გ. დარასელია 46), ფიფია (გ. თოდუა 63)

**მწვრთნელები:** გიორგი ჩიხრაძე და ნუგზარ ბოჯგუა

**ქვემო ქართლი:** მერლანი (სტურუა 46), თ. ლონლაძე, გ. ონიანი (გ. სეთურიძე 46), ა. გილაური (შავგულიძე 11), ქემოკლიძე, ლ. სანიკიძე, გაბიდაური, ბაბუნაშვილი, ფეიქრიშვილი (გ. ჩხეტიანი 46), ალადაშვილი (რ. გოცირიძე 46), მეგრელაძე (შ. ჯიქია 46)

**მწვრთნელები:** ხვიჩა ქასრაშვილი და ოთარ კორღალიძე

**მსაჯი:** დ. ხარიტონაშვილი

**გუშინ** რუსთავის „ფოლადზე" აფხაზეთის ფეხბურთის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო მატჩი გაიმართა აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ნაკრებებს შორის. იუბილეზე აფხაზეთის ნაკრებმა თავი არ შეირცხვინა და მეტოქე 2:1 დაამარცხა.

ამ შეხვედრის ფინანსური უზრუნველყოფა ქვემო ქართლის ადმინისტრაციამ ითავა. ისე, შეხვედრამ რუსთაველ გულშემატკივრებში დიდი ინტერესი ვერ გამოიწვია — სამასიოდე გულშემატკივარმა მიადევნა თვალი ამ მატჩს.

მატჩამდე საქართველოს ჰიმნი აჟღერდა, მერე კი აფხაზეთსა და ოსეთში გმირულად დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

დასაწყისში ქვემოქართლელები უფრო აქტიურობდნენ. მე-6 წუთზე გიორგი ფეიქრიშვილი კარგად გასცდა ერთ მეტოქეს და კარშიც დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. რამდენიმე წუთში ლევან სანიკიძემ ბურთი ხარიხას გაარტყა.

შეხვედრა განსაკუთრებით თვალსაჩინო არ გამოდგა, მაგრამ ცუდი თამაშიც არ ეთქმება.

ეს არის, მატჩმა ტრავმის გარეშე არ ჩაიარა — აქცენტი გილაური თითქოს უწყინარ სიტუაციაში დაშავდა და შესაცვლელი გახდა.

აფხაზეთის ნაკრები თავისას ცდილობდა, მაგრამ საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა.

ფეიქრიშვილის ჩაწოდების შემდეგ გიორგი მეგრელაძემ დაარტყა თავი, მაგრამ ზურაბ ქვაჩახია სამეღლოდ იდგა. 41-ე წუთზე კი აფხაზეთის ნაკრები დაწინაურდა: ქვემოქართლელთა დაცვა ჩავარდა და ფიფია-გულორდავა-დარასელიას კომბინაცია ვიტალიმ გოლით დაასრულა — 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე კიდევ ერთი თავური გაუცუდდა მეგრელაძეს.

მეორე ტაიმის საწყის წუთებში აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. 62-ე წუთზე კი ოლეგ გველესიანის პასით კოტე დარსანიამ გაიტანა და აფხაზეთის ნაკრებმაც ორბურთიანი ფორა მოიპოვა.

ამის მერე კი დაფაცურდნენ ქვემოქართლელები, მაგრამ ერთი ბურთის მეტი ვეღარ გაქვითეს — შოთა ბაბუნაშვილის პასით შოთა ჯიქიამ იხეირა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად ვიტალი დარასელია და თემ[illegible] და ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ მათ პრიზები გადასცა.

**ნუკრი ლოლაძე რუსთავიდან**


გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლარს ლაგერბეკი: რა ამბავია?
## კეირუში სისულელის წინააღმდეგ

I ჯგუფი

**უნგრეთი — ალბანეთი**
**დანია — მალტა**
**შვედეთი — პორტუგალია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

მომდევნო ტური

**მალტა — უნგრეთი**
**პორტუგალია — ალბანეთი**

**კარლუშ კეირუში** ფეხბურთელებს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებს, რათა შვედებთან დანიური სისულელე არ გაიმეორონ.

დანიასთან სექტემბრის საშინაო მატჩში პორტუგალია 2:0-ს იგებდა და 2:3 წაგება მოახერხა.

„შეცდომებს რა დალევს, მაგრამ ზოგჯერ ძალიან ძვირი ჯდება. ასეთი დონის მატჩებში სამი გოლის გაშვება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, შვედეთში ჩვენ უკეთ თამაშს და ლამაზი ფეხბურთით მოგებას შევეცდებით. მეტოქეს თავიდანვე შევუტევთ" — თქვა კეირუშმა. პორტუგალიას მანიშე, დეკუ, რიკარდუ კარვალიუ და სიმაუ დააკლდება. სამაგიეროდ, კრიშტიანუ რონალდუ გამოკეთდა.

„მე ველი, რომ რონალდუ უკეთ ითამაშებს, ვიდრე ოპერაციამდე თამაშობდა" — ბრძანა მწვრთნელმა.

შვედებს სიმაღლეში უპირატესობა აქვთ და ამიტომ კეირუში საყრდენად ალბათ ფერნანდუ მეირას გაამწესებს.

„დანიასთან მარცხმა ჩვენი გეგმები აწეწა და წაგების უფლება აღარ გვაქვს — განაცხადა რონალდუმ — ვიმედოვნებ, რომ საქმე უკეთესად აეწყობა".

შვედების კაპიტანი და მეგოლე ჰენრიკ ლარსონი ვარჯიშზე დაშავდა. კუნთი დაეჭიმა და რამდენიმე კვირა გაუცდება.

ტრავმირებულნი არიან ტობიას ლინდეროტი, ოლაფ მელბერგი, ერიკ ედმანი, ანდერს სვენსონი, მარკუს როსენბერგი და კრისტიან ვილჰელმსონი.

„რაც ნაკრებში ვმუშაობ, ამდენი ტრავმირებული არასოდეს მყოლია" — დაიჩივლა ლარს ლაგერბეკმა.

როსენბერგის ნაცვლად შეტევაში, ალბათ, „კალმარის" ფორვარდი პატრიკ ინგელსტენი ითამაშებს, რომელიც 15 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირია.

„რასუნდას" სტადიონზე, სადაც შვედები პორტუგალიას დაუხვდებიან, მასპინძლები ბოლო 10 წელიწადში მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

ჯგუფის ბოლოადგილოსანი მალტა დანიას ესტუმრება. მორტენ ოლსენმა ნაკრებში უხმო მეკარე ტომას სორენსენს და მცველ იესპერ კრისტიანსენს, რომლებმაც სექტემბერში შესარჩევი მატჩები ტრავმების გამო გამოტოვეს.

ოთხთვიანი შესვენების შემდეგ, ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა მარტინ იორგენსენიც. მას ივნისის მერე არ უთამაშია.

ჯგუფის მოულოდნელი ლიდერი და გოლგაუშვებელი ალბანეთი ბუდაპეშტში ჩაბრძანდება, სადაც უნგრელები შესარჩევში პირველი მოგებისთვის იბრძოლებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ოტმარ ჰიცფელდი ლუქსემბურგს ლატვიით უწამლებს



II ჯგუფი

**შვეიცარია — ლატვია**
**საბერძნეთი — მოლდოვა**
**ლუქსემბურგი — ისრაელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

მომდევნო ტური

**ლატვია — ისრაელი**
**ლუქსემბურგი — მოლდოვა**
**საბერძნეთი — შვეიცარია**

**ლუქსემბურგთან** საშინაო მატჩში სენსაციურად დამარცხებული შვეიცარია ლატვიას დაუხვდება.

ოტმარ ჰიცფელდმა წინა კვირაში „ბაზელიდან" მარკო შტრელერს უხმო, მაგრამ ფორვარდი დაშავდა და მის ნაცვლად ასევე ბაზელელი ერენ დერდიოქი გამოიძახა.

შტრელერის გარდა, გუნდს გამოაკლდა ბერლინის „ჰერტას" მცველი სტივ ფონ ბერგენი.

ნაკრებში დებიუტანტებიც არიან: ჰერტელი ნახევარმცველი ფაბიან ლუშტენბერგერი და მეკარე მარკო ვოელფელი „იანგ ბოიზიდან".

სექტემბერში შვეიცარია სტუმრად ისრაელს დაუზავდა, მერე კი შინ ლუქსემბურგთან წააგო და გერმანელი მწვრთნელი წნეხის ქვეშ მოექცა.

„ლატვიასთან მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა ლუქსემბურგისგან მარცხი მალე დავივიწყოთ — თქვა ჰიცფელდმა — ფეხბურთში ასეა, წაგების შემდეგ უმალ გამარჯვებაა საჭირო. ამას ნახევარი წელი ვერ დაველოდები.

ხდება ხოლმე, რომ გაცილებით სუსტი მეტოქე თავს ზემოთ ხტება და მოულოდნელად მოიგებს. ამ დროს კი ძლიერი იბნევა, ნერვიულობს და აღარაფერი არ გამოსდის. ლუქსემბურგთან სწორედ ასე დაგვემართა. ჩვენ ბევრჯერ შევცდით, მათ კი ორჯერ სატანდარტულიდან გაგვიტანეს. მომდევნო მატჩებში შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ".

ლატვიელებს ტრავმამოშუშებული ცენტრალური მცველი დენის ივანოვი დაუბრუნდათ, ოსკარს კლიავი კი დისკვალიფიცირებულია.

„ოტმარ ჰიცფელდის გუნდთან ურთულესი მატჩი გველის — განაცხადა „ვენტსპილსის" მცველმა დენის კაჩანოვმა — ლუქსემბურგთან წაგებით გამწარებულნი თავიდანვე მაგრად შეგვიტევენ".

„დაცვაში დიდი ჯაფა დაგვადგება — კვერი დაუკრა კაჩანოვს ივანოვმა — შვეიცარია ევროპის ტოპნაკრები არაა, მაგრამ შეტევა ეხერხება. ჩვენ არ გვეშინია და ქულისთვის ვიბრძოლებთ".

ლუქსემბურგი ისრაელს ორი დისკვალიფიცირებული მცველის, ჯეფ შტრასერის და ერიკ ჰოფმანის გარეშე დაუხვდება. მასპინძელთა მწვრთნელმა ნაკრებში პირველად უხმო 17 წლის პოლ ბუსის.

„ახლგაზრდა გუნდი გვყავს და ისევე, როგორც შვეიცარიასთან, ისრაელთანაც მოსაგებად ვითამაშებთ. აღარ გვინდა ბოლოზე გასვლა და ჩვენი მიზანი მესამე-მეოთხე ადგილი იქნება" — განაცხადა ლუქსემბურგის მწვრთნელმა გი ელერსმა.

ჯგუფის ლიდერი და ქულადაუკარგავი საბერძნეთი ორი თამაშის წამგებ მოლდოვას უმასპინძლებს.

მოლდოველთა თაკაცმა ნაკრებში პირველად გამოიძახა 23 წლის ნახევარმცველი ვიკტორ ბულატი, გუნდს მიღმა კი დატოვა გეორგი ოვსიანიკოვი და ალექსანდრ სუვოროვი, რომელთა თამაშითაც სექტემბრის მატჩებში უკმაყოფილო დარჩა. მცველი ვიკტორ გოლოვატენკო დისკვალიფიცირებულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლვოვში ნაქეიფრები
## ბეენჰაკერმა სამი შეიწყალა

III ჯგუფი

**პოლონეთი — ჩეხეთი**
**სან მარინო — სლოვაკეთი**
**სლოვენია — ჩრდ. ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

მომდევნო ტური

**ჩეხეთი — სლოვენია**
**სლოვაკეთი — პოლონეთი**
**ჩრდ. ირლანდია — სან მარინო**

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა ნაიჯელ უორთინგტონმა თქვა, რომ მისი გუნდი სლოვენიაში პირველივე წუთიდან მოსაგებად ითამაშებს.

„თუ თავიდანვე ისე შევუტევთ, როგორც წინა, საშინაო მატჩში ჩეხებთან, და მომენტებს შევქმნით, გამარჯვების მეტი შანსი გვექნება — განაცხადა უორთინგტონმა — სლოვენია საქმეში ნანახი მყავს და მათთან ტოლსწორად თამაში შეგვიძლია. საკუთარი ძალა უნდა ვირწმუნოთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ.

ორი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა გვაქვს და მოგება აუცილებლად გვჭირდება".

„რეინჯერსის" ფორვარდი კაილი ლაფერტი გამოკეთდა და დღეს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება. „ჩაფრების" ფეხბურთელი სექტემბრის მატჩებში ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა.

„ლაფერტის დაბრუნება სასიხარულო ამბავია და ვიმედოვნებ, რომ შესარჩევში პირველ გოლს დევიდ ჰილიც გაიტანს" — აღნიშნა ჩრდილოირლანდიელთა თავკაცმა.

სლოვენიაში სტუმრებს სემ კლინგანი, სტივენ კრეიგანი და მაიკლ დაფი დააკლდებათ. მცველი ჯონი ევანსი ნაკრებს მარიბორში გაჰყვა, მაგრამ ტრუსიანია და შეიძლება ვერ ითამაშოს.

ჩრდილოეთ ირლანდიას ბოლო 30 გასვლით მატჩში ორზე მეტი არ მოუგია, მაგრამ „სანდერლენდის" მცველი ჯორჯ მაკარტნი მაინც იმედიანადაა: „მომდევნო ორი შეხვედრა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. ოთხი ქულა აუცილებლად გვჭირდება. სლოვენიის ღარ მეტოქესთან უქულოდ არ უნდა დავრჩეთ".

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა სამი მოკვეთილი ფეხბურთელი შეიწყალა და ჩეხეთთან მატჩისთვის ნაკრებში დააბრუნა.

მეკარე არტურ ბორუცი და ნახევარმცველები, დარიუშ დუდკა და რაფალ მურავსკი ჰოლანდიელმა სექტემბერში, უკრაინასთან შეხვედრის შემდეგ მოიძულა.

პოლონური მედიის ცნობით, სამეული ლვოვში გვარიანად გამოიბრუჟა და ბეენჰაკერმა ამიტომ დასაჯა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ენქეს მაჯა ადლერისთვის მოტყდა
## ლიოვს რუსების გადასვლა უკვირს

| IV ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

ფინეთი — აზერბაიჯანი

უელსი — ლიხტენშტაინი

გერმანია — რუსეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 9:3 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |

მომდევნო ტური

რუსეთი — ფინეთი

გერმანია — უელსი

**გერმანელთა** მეკარემ რობერტ ენკემ ოთხშაბათს ვარჯიშზე მაჯა მოიტეხა და სამი თვე ვეღარ ითამაშებს.

იოახიმ ლიოვი რუსეთთან მატჩში, რომელიც დორტმუნდში გაიმართება, კარს „ლევერკუზენის" მეკარე რენე ადლერს ანდობს, რომელიც მანამდე მესამე ნომრად ითვლებოდა. ლიოვმა ვერდერელ ტიმ ვიზეს ადლერი ამჯობინა.

„რენეს სრულად ვენდობი"— განცხადა ბუნდესნაკრების თავკაცმა.

„ძალიან ვწუხვარ ენკეს გამო — დაიჩივლა ადლერმა — არავის ტრავმა არ მახარებს, მაგრამ ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში შანსი გეძლევა და უნდა გამოიყენო".

იოახიმ ლიოვის აზრით, გუუს ჰიდინკს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს: „იშვიათად მინახავს გუნდი, ასე სწრაფად რომ შეეძლოს შეტევაში გადასვლა. ბურთის მოგებისთანავე, ორ-სამ პასში უკვე მეტოქის საჯარიმოსთან ხიფათს ქმნიან.

ძალიან დისციპლინირებული, მოწესრიგებული ნაკრებია და შეცდომებს არ გვაპატიებს."

რუსებს ტრავმირებული მცველი დენის კოლოდინი, ნახევარმცველი დმიტრი ტორბინსკი და ფორვარდი რომან პავლიუჩენკო დააკლდებათ.

„ყველაზე დიდი დანაკლისი პავლიუჩენკო და კოლოდინია — თქვა რუსთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა — ტრავმაც ფეხბურთის ნაწილია და მათი შემცვლელები უნდა მოვძებნო".

გერმანიის ნაკრებს ნახევარდაცვაში მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი ეყოლება. სექტემბერში ფინეთთან მატჩი ორივემ გამოტოვა.

ლიოვმა მცველები, პერ მერტესაკერი და არნე ფრიდრიხიც გამოიძახა.

შეტევაში შესაძლოა, „ლევერკუზენის" ფორვარდმა პატრიკ ჰელმესმა ითამაშოს.

„სასიხარულოა ამ ოთხი ფეხბურთელის დაბრუნება. ახლა გაცილებით დიდი არჩევანი გვაქვს. ვარჯიშზე ვნახავ და მერე გადავწყვეტ, თუ ვინ იქნება ძირითად შემადგენლობაში. რაც შეეხება პატრიკ ჰელმესს, მას უდიდესი პოტენციალი აქვს. ბევრი რამ კიდევ უნდა ისწავლოს და გამოცდილება მიიღოს, მაგრამ მისი დარტყმის ტექნიკა თითქმის უზადოა. ამ სეზონში კიდევ ბევრ გოლს გაიტანს" — აღნიშნა იოახიმ ლიოვმა.

გუუს ჰიდინკის თქმით კი, ევრო 2008-ზე კარგმა თამაშმა რუსთა ნაკრებს თავდაჯერებულობა შემატა: „ჩემს ფეხბურთელებს ძლიერი ევროპელი მეტოქეების აღარ ეშინიათ. გერმანია ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ დორტმუნდიდან ქულის წამოღება შეგვიძლია და ამით კმაყოფილნი ვიქნებით".

**ვაჟა ხუციშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

რენე ადლერი და ბუნდესმეკარეთა დამრიგებელი ანდრეას კიოპკე

# რიერას ფიქრები



ვისენტე დელ ბოსკე

V ჯგუფი

თურქეთი — ბოსნია

ბელგია — სომხეთი

ესტონეთი — ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:1 | 3 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:10 | 0 |

მომდევნო ტური

ბოსნია — სომხეთი

ესტონეთი — თურქეთი

ბელგია — ესპანეთი

**ევროპის** მოქმედი ჩემპიონი და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი ესპანეთის ნაკრები ერთ-ერთ აუტსაიდერ ესტონეთს სტუმრობს და უპირობო ფავორიტადაც ითვლება. პირენეელები, რომლებსაც 25 მატჩია, არ წაუგიათ ესტონელებს პირველად ხვდებიან.

ვისენტე დელ ბოსკეს ერთადერთი დანაკლისი სევილიელი გარემარბი დიეგო კაპელია. მის ნაცვლად მწვრთნელმა ნაკრებში ლივერპულელი ალბერტ რიერა იხმო, რომელსაც ძალიან სურს თავის გამოჩენა.

„ძალიან გავბრაზდი, ევრო 2008-ზე რომ ვერ მოვხვდი. დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ნაკრები წარმატებულად ითამაშებდა და მინდოდა, მისი წევრი მეც ვყოფილიყავი. თან, ჩემი აზრით, როცა შანსი მომეცა, ცუდად არ მითამაშია და მეგონა, განაცხადში მოვხვდებოდი. თუმცა ახლა მოძავალზე ფიქრის დროა" — თქვა 26 წლის რიერამ.

ესპანელთა საყრდენი ნახევარმცველი მარკოს სენა: „თანამედროვე ფეხბურთში აბსოლუტურად ყველა მეტოქეს პატივი უნდა სცე და კონცენტრაცია ყოველთვის უნდა შეინარჩუნო, მით უმეტეს, როცა გასვლაზე თამაშობ. თეორიულად ჩვენ ფავორიტები ვართ და იოლად უნდა მოვიგოთ, მაგრამ სათამაშო გვაქვს და გამარჯვება ადვილი სულაც არ იქნება. შიშით, ნამდვილად არავისი გვეშინია, მაგრამ ცივ გონებაზე დარჩენაა საჭირო".

რაც შეეხება ესტონელებს, ბოსნიასთან სამარცხვინო წაგების (0:7) მერე, მათ საკუთარი ქომაგის თვალწინ რეაბილიტაცია სურთ, მაგრამ უმძიმესი თამაში რომ ელით, თავადაც კარგად ხვდებიან, თან მათი წამყვანი ფორვარდის ანდრეს ოპერის მინდორზე გასვლა სათუოა.

ეტონელთა თავკაცი ტარმო რუუტლი: „ცხადია, ესპანეთი ფავორიტია და სავარაუდოდ, მატჩი პირენეელტა უპირატესობით ჩაივლის, მათგან ყველა მოგებას ელის. თუმცა ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, ყველაფერი შესაძლებელია, ეს უკვე ბევრჯერ დადასტურდა. თავდადების შემთხვევაში პატარა ქვეყნებს, დიდების წაქცევა ძალუძთ".

ბელგია სომხეთს მასპინძლობს და თუ ჯგუფიდან გასვლაზე პრეტენზია აქვს, აუცილებლად უნდა მოიგოს.

სახლში თამაშობს თურქეთიც, მაგრამ, ბელგიასთან შედარებით, უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავს. ბელგია ხელწამოსაკრავი არასდროს ყოფილა და ახლაც ანგარიშგასაწევი ძალაა.

**კოკი კანდელაკი**

# რუნის თეო უხარია

VI ჯგუფი

ინგლისი — ყაზახეთი

უკრაინა — ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ყაზახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

მომდევნო ტური

ხორვატია — ანდორა

ბელარუსი — ინგლისი

**ფაბიო კაპელოს** ინგლისი ყაზახეთს მასპინძლობს და ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ნისლიანი ალბიონის ბინადრები გამარჯვებას მიაღწევენ.

„სექტემბერში ხორვატიასთან მეორე ტაიმი მართლაც ბრწყინვალედ ჩავატარე, ამაზე კარგად ნაკრებში ალბათ არასოდეს მითამაშია. თეო უოლკოტის მოსვლამ ბევრი რამ შეცვალა. ის ალბათ ყველაზე სწრაფი მოთამაშეა მათ შორის, ვინც კი აქამდე მინახავს. მან რაღაც დამატებითი და საჭირო შეგვძინა. თეო ძალიან საჭირო ფეხბურთელია და მახარებს, რომ ნაკრებში ლამკვიდრდა. ბოლო დროს ცოტა გოლი გამაქვს და მაკრიტიკებენ, მაგრამ ეს არ მაღელვებს და ჩვეულებრივად ვილებ. არიან ფორვარდები, რომლებსაც შეუძლიათ, წინ დარჩნენ და თავიანთ მომენტს დაელოდონ, რათა გადამწყვეტი დარტყმა შეასრულონ. მე კი მინდა, ბურთთან ხშირად ვიყო და თამაშში ჩავერთო ხოლმე, ამიტომ, ხშირად უკან ვიხევ" — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა უეინ რუნიმ.

„არასოდეს მიფიქრია, რომ მოდაში აღარ ვარ, დავიკარგე და შანსი აღარ მექნებოდა. მიხარია, რომ ნაკრებს დავუბრუნდი და ცუდად არ გამოვიყურები. ვეცდები, უკეთ ვითამაშო" — ეს კი „უიგანის" 30 წლის თავდამსხმელის ემილ ჰესკის სიტყვებია.

ინგლისთან ერთად გალიდერებული უკრაინა ხარკოვში ხორვატიას მასპინძლობს. აშკარაა, რომ ამ მატჩის შედეგს ახლა თუ არა, ბოლოს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. ეს ორივე ნაკრების ფეხბურთელებს კარგად ესმით და ისინი თავს არ დაზოგავენ.

„ქულები იქ არასოდეს დაგვიკარგავს, სადაც არ უნდა დაგვეკარგა. ახლა აშკარა გახდა, რომ თუ სამხრეთ აფრიკაში მოხვედრა გვინდა, შეცდომის და დანაკარგის უფლება არ გვაქვს ან მხოლოდ ერთი მცირე შეცდომის დაშვება შეგვძლია. უკრაინაში ფრეზე ვერ ვითამაშებთ, ჩვენი მიზანი მოგებაა, მაგრამ საბოლოოდ, არც ქულით ვიქნებით უკმაყოფილო. გვსურს, უპირატესობა თავიდანვე მოვიპოვოთ და მთელი მატჩის განმავლობაში ვდომინირებდეთ, ეს კი ნიშნავს, რომ ცვლილებები უნდა მოვახდინო" — თქვა ხორვატების ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა.

სტუმრებს რობერტ კოვაჩი ჰყავთ დისკვალიფიცირებული. გარდა ამისა, პრობლემაა მეკარესთან დაკავშირებით: ბილიჩმა უნდა გადაწყვიტოს, ენდოს ისევ ცუდ ფორმაში მყოფ ნაკრების პირველ მეკარეს სტიპე პლეტიკოსას, თუ კარში 32 წლის ვედრან რუნიე ჩააყენოს.

„ფიქრისთვის დრო ჯერ კიდევ არის. ნებისმიერი არჩევანი გამართლებული იქნება, რადგან ორივე მეკარე უმაღლესი კლასისაა" — დასძინა ბილიჩმა.

უკრაინელთა თავკაც ალექსეი მიხაილიჩენკოსაც მსგავსი პრობლემა აქვს. მან არჩევანი ასევე ორ მეკარეს შორის უნდა გააკეთოს — ანდრეი პიატოვა და დებიუტანტ სტანისლავ ბოჟუშს შორის. კიევის „დინამოს" თავდამსხმელი არტემ მილევსკი დაშავებულია. სამაგიეროდ, ანდრეი შევჩენკო და მისი სეხნია ვორონინი არიან ჯანზე.

**გიორგი კაკაბაძე**



ფაბიო კაპელო (მარჯვნივ) და მისი ასისტენტი ფრანკო ბალდინი

# ბენზემას დომენეკის დარჩენა უნდა

| VII ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**VII ჯგუფი**

**ფარერები — ავსტრია**
**სერბეთი — ლიტვა**
**რუმინეთი — საფრანგეთი**

**მომდევნო ტური**

**ლიტვა — ფარერები**
**ავსტრია — სერბეთი**

**რუმინეთმაც** და საფრანგეთმაც, შესარჩევი ეტაპი მოულოდნელად ცუდად დაიწყეს და დღეს გასამართმა მათმა შეხვედრამ ორმაგი მნიშვნელობა შეიძინა. ქულები ორივე ნაკრებს ჰაერივით სჭირდება. შევახსენებთ, რომ ისინი ევროპის ჩემპიონატზეც ერთ ჯგუფში იყვნენ და 0:0 ითამაშეს.

ბევრი მიიჩნევს, რომ რაიმონ დომენეკმა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი აუცილებლად უნდა დატოვოს, მაგრამ „ლიონისა" და „მამლების" 20 წლის თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა სხვა აზრისაა.

„ძალიან კარგი იქნება, თუ დომენეკი დარჩება. სწორედ იგი მენდო და შანსი მომცა. ამის გარდაც არა მგონია, მწვრთნელის ახლა მოხსნა საუკეთესო გამოსავალი იყოს. პრობლემები სხვაგვარად უნდა დავძლიოთ და დომენეკის მოხსნაზე ლაპარაკს მოვეშვათ, ყველა. ფეხბურთელი მხარში უდგას და ახლა რუმინეთთან მატჩზე ვფიქრობთ, სამი ქულა გვჭირდება და, ცხადია, მოსაგებად ვითამაშებთ" — თქვა ბენზემამ.

ლონდონის „არსენალის" მცველის, უილიამ გალასის თამაში გამორიცხა. მას ლიონელი ჟან-ალენ ბუმსონგი შეცვლის. სხვა მხრივ, დომენეკს შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები ფაქტობრივად არ აქვს.

ვიქტორ პიცურკას გარკვეული პრობლემები კი აქვს, მაგრამ მთლიანობაში, შეგვიძლია, რუმინელების შემადგენლობასაც საბრძოლო დავარქვათ.

ჯგუფის მოულოდნელი ლიდერი ლიტვის ნაკრები სერბეთს სტუმრობს და მორიგი სიურპრიზის შემოთავაზებასაც ეცდება, მაგრამ ფავორიტად მაინც მასპინძლები მიიჩნევიან და თუ მათ ვერ მოიგეს, ჯგუფიდან გასვლის შანსები კიდევ უფრო შეუმცირდებათ.

ავსტრია კი გამოკვეთილ აუტსაიდერ ფარერებს სტუმრობს და კარელ ბრიუკნერის შეგირდებისგან ყველა გამარჯვებას ელის. ალბათ ასეც მოხდება...

**გიორგი ქაქაბაძე**





# ნარინჯისფერი ტრავმების ეპიდემია

| IX ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

**IX ჯგუფი**

**შოტლანდია — ნორვეგია**
**ჰოლანდია — ისლანდია**

**მომდევნო ტური**

**ნორვეგია — ჰოლანდია**
**ისლანდია — მაკედონია**

**ჰოლანდიელთა** მთავარ მწვრთნელ ბერტ ვან მარვაიკს ტრავმების გამო არაერთი ფეხბურთელი აკლია. მოგეხსენებათ, ვეტერან მეკარეს ედვინ ვან დერ სარს ნაკრებში დაბრუნებაც კი მოუხდა, რათა „ნარინჯისფრები" უფრო რთულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. საქმე ისაა, რომ მარტენ სტეკელენბურგიც და ჰენკ ტიმერიც დაშავებულნი არიან.

ვან მარვაიკის განკარგულებაში ასევე არ იქნებიან არიენ რობენი, რობინ ვან პერსი, იან ვენეგორ ოფ ჰესელინკი, ჯონ ჰეიტინგა და ჰალიდ ბულარუზი. ტრავმა მოიშუშა უესლი სნეიდერმა, მაგრამ მისი თამაში მაინც თითქმის გამორიცხულია. შესაძლოა, რეალელი მომავალ კვირაში, ნორვეგიის წინააღმდეგ შეხვედრაში გავიდეს მინდორზე.

ედვინ ვან დერ სარი: „ვითარების სირთულე კარგად გავიაზრე და დაბრუნება გადავწყვიტე. ნაკრებს ორი წამყვანი გოლკიპერი ჰყავს ტრავმირებული, არადა მომავალი მატჩები ძალიან მნიშვნელოვანია და ისინი ჩვენთვის სასურველი შედეგებით უნდა დამთავრდეს".

ისლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლაფურ იოჰანესონის თანაშემწეს პეტურ პეტურსონს როტერდამის „ფეიენოორდში" ოთხი წელი აქვს ნათამაშები და ჰოლანდიურ ფეხბურთს კარგად იცნობს, იგი ვითარებას რეალური თვალით უყურებს და აღიარებს, რომ ისლანდიას რაიმეს გამორჩენის მცირე შანსი აქვს.

„ჰოლანდიელებს ბევრად უკეთესი გუნდი ჰყავთ. მათი ფეხბურთელები „რეალის", „ბაიერნისა" და „ლივერპულის" დარ კლუბებში თამაშობენ. ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა კი ნორვეგიის ჩემპიონატში თამაშობს, განსხვავებას ალბათ თავადაც კარგად ხედავთ. ჩვენი შანსი გუნდურ ბრძოლაშია" — აღნიშნა პეტურსონმა.

ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩია მოსალოდნელი შოტლანდიასა და ნორვეგიას შორის. სქოთებს ორ თამაშში ერთი წაგება უკვე აქვთ და შინ სკანდინაველებთან ქულების დაკარგვის უფლება საკუთარ თავს აღარ უნდა მისცენ, თორემ მძიმე ვითარებაში ჩავარდებიან. ცხადია, თავისი გეგმები აქვს ნორვეგიას და თუ რა მოხდება, მინდორზე გამოჩნდება.

**კოკი ქანდელაკი**

# სებასტიან აბრეუ: არგენტინას ვჯობივართ

| სამხრეთ ამერიკა. IX ტური | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ბრაზილია | 8 | 3 | 4 | 1 | 11:4 | 13 |
| არგენტინა | 8 | 3 | 4 | 1 | 11:5 | 13 |
| ჩილე | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ურუგვაი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:6 | 12 |
| კოლუმბია | 8 | 2 | 4 | 2 | 4:7 | 10 |
| ეკვადორი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| ვენესუელა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| პერუ | 8 | 1 | 4 | 3 | 5:16 | 7 |
| ბოლივია | 8 | 1 | 2 | 5 | 8:20 | 5 |

**სამხრეთ ამერიკა. IX ტური**

**ეკვადორი — ჩილე**
**ვენესუელა — ბრაზილია**
**კოლუმბია — პარაგვაი**
**არგენტინა — ურუგვაი**
**ბოლივია — პერუ**

**მომდევნო ტური**
**14 ოქტომბერი**

**ბოლივია — ურუგვაი**
**ვენესუელა — ეკვადორი**
**ბრაზილია — კოლუმბია**
**ჩილე — არგენტინა**
**პარაგვაი — პერუ**

**სამხრეთ ამერიკის** შესარჩევ ზონაში ტრადიციული ფავორიტები, ბრაზილია და არგენტინა არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებიან. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეს ვერცერთი მათგანი პირველ ადგილზე რომ ვერ ჩაამთავრებს, უკვე ფაქტია, რადგან მე-9 ტურის წინ მათ, ჩილესთან ერთად, ლიდერ პარაგვაიზე 4 ქულით ნაკლები აქვთ.

არგენტინა, რომელმაც ბოლო 6 მატჩი (აქედან 4 საკვალიფიკაციო და ორი ამხანაგური) ფრედ ითამაშა, ურუგვაის მასპინძლობს. ალფიო ბასილემ და მისმა შეგირდებმა მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრონ და ალბათ ფიქრობენ კიდეც, მაგრამ არც სტუმრებს აქვთ ნაკლები ამბიცია.

„ეს ის მომენტია, როცა შედეგზე თამაში და სასურველი შედეგების მიღწევა ყველაზე მეტად გვჭირდება. იმედია, ურუგვაისთან ყველაფერი ისე იქნება, როგორც გვსურს, ჩვენ ბოლომდე დავიხარჯებით" — თქვა არგენტინელთა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ.

ურუგვაელთა თავდამსხმელი სებასტიან აბრეუ: „ჩვენ არგენტინაზე უკეთესნი ვართ, ეს დავამტკიცეთ კიდეც. საერთაშორისო დონეზე, უპირველესად, გუნდური თამაშია საჭირო, ინდივიდუალურთან ერთად. ურუგვაი კი, როგორც გუნდი, ბრწყინვალედ თამაშობს. არგენტინას რამდენიმე ჩინებული ინდივიდუალისტი ჰყავს, მაგრამ დაცვითი გუნდების წინააღმდეგ და ზეწოლისას, „ალბისელესტეს" უჭირს. დაცვაში ჩაკეტვას არ ვაპირებთ. ეს მეტოქეს პირველივე წუთებიდან უნდა ვაგრძნობინოთ. მორიგი სამი ქულის მოპოვება გვსურს".

„ორი მომავალი მეტოქე კარგად შევისწავლეთ, მათ ფეხბურთელებს მშვენივრად ვიცნობთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ სასურველ შედეგებს მივაღწევთ" — ეს კი ურუგვაელთა თავკაცის ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის სიტყვებია.



დუნგას კაკასი ეიმედება

ბრაზილიამ შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩი შინ აშკარა აუტსაიდერ ბოლივიასთან უგოლოდ დაასრულა, რამაც კარლოს დუნგას კრიტიკოსთა რიცხვი ერთიორად გაზარდა, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელი კვლავ სიმშვიდეს ინარჩუნებს.

ბოლო 11 თვეში პირველად, ბრაზილიის ღირსებას კაკა დაიცავს. „მილანის" ლიდერი ტრავმების გამო საკმაო ხანი ჩამოშორებული გახლდათ ნაკრებს. ბრუნდება „ინტერის" ფორვარდი ადრიანოც, რომელმაც ფორმა აღიდგინა და ვენესუელასთან შეხვედრაში მასაც ძირითად შემადგენლობაში ელიან.

კარლოს დუნგა: „აქამდეც გვინდოდა, რომ კაკა გვყოლოდა, მაგრამ მას ტრავმებმა შეუშალა ხელი. იმედია, ვენესუელასთან კაკა, უბრალოდ კაკა იქნება და მეტი არაფერი. მასთან ზედმეტი ლაპარაკი არ მჭირდება, რადგან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ახლა მნიშვნელოვანია, ტრავმები თავიდან ავირიდოთ და ყველაფერი კარგად იქნება".

„ვიმედოვნებ, დაბრუნებასთან დაკავშირებული ჩემი სიხარულის მინდორზე გამოხატვას შევძლებ. ვერც კი აგიხსნით, რაოდენ საწყენია, როცა ნაკრებს მიღმა ხარ" — თქვა კაკამ.

ადრიანო: „ინტერში" საქმე კარგად მიდის. ფორმას და ჩემს ადგილს ნელ-ნელა ვიბრუნებ. იმედია, კლუბისთვისაც და ნაკრებისთვისაც სასარგებლო ვიქნები".

ლიდერი პარაგვაი კოლუმბიას სტუმრობს. მასპინძლებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ — ედუარდო ლარა. მან უკვე მოასწრო საკმაოდ ბევრი ცვლილების მოხდენა და გადახალისებული შემადგენლობით აპირებს თამაშს.

ორი დანარჩენი მატჩიც საინტერესოა — ეკვადორი ჩილეს მასპინძლობს, ხოლო ბოლივია — პერუს.

**გიორგი ქაქაბაძე**

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ჯიბუტი, ლესოტო და მაურიტიუსი მინუსოვკაში ორიანები რო ავილო და ხვალ კიდე ეგვიპტესთან ჯიბუტი იქსში გადავზღვიო, კლასნი ბილეთი გამოვა, არა ტო?

— ჯიბუტი მეც მაგრა მჯერა, ძმაო, მარა მაურიტიუსი მეეჭვება. სკოლზკი გუნდია. თან ეხლა ტრენერი შეუცვალეს და ეგენი 2—3—2—3-დან 7—2—1-ზე გადავიდნენ.

იტალიელი ტრენერი დაუნშინეს და აფრიკულ კატენაჩოს ნერგავენ. ძაღლი ნაკრები გახდა. თვითონაც არა თამაშობს და სხვასაც არ ათამაშებს. ნაკლები მგონია.

— მაშინ მაურიტიუსს ამოვაგდებ და მავრიტანიას ჩავწერ, ოღონდ ატვეჩაი შენ იქნები, ტო. თუ გატეხავს, იცოდე ნახევარ კილო ბანანის მწნილს იკისრებ...

— მე რატო უნდა ვიკისრო, პაპაჩემს პლანტაცია უდგას?

— შენ ხო მავრიტანიაში ნამყოფი ხარ და იქაური ფუტბოლის საფუძვლებს იცნობ, ტო!

— მე მიუნხენშიც მიცხოვრია, ძმაო, მარა „ბაიერნმა“ ამ წელს იცი რეები მიქნა? ჯერ მარტო „ზენიტთან“ რო იყომარა უეფას თასის პოლუფინალში, გაზპრომის ტამბოველ მაფიოზებს რო მიჰყიდა თამაში, ბიუჯეტში და ჯიბეებში რამხელა გარღვევა მქონდა იცი? რიბერიმ და ტონიმ შვებულებაში ჩემი მაყუთით დაისვენეს...

— ეგ რა სერიოზული პასი ჩამაწოდე, ტო! ეგ აღარც მახსოვდა...

— რა გაგახსენდა?

— დღეს გაზპრომის ოფისის თანამშრომლები თამაშობენ...

— ვინები?

— მერკელი და პუტინი. გერმანია — რუსეთია დორტმუნდში. ანგელა უეჭველი ერთიანის დამსმელია. რუსებმა ვალი უნდა დააბრუნონ. თუ ზნაჩიტ, მამენტ და ცვეტში „ზენიტმა“ მისცა „ბაიერნს“, ეხლა რუსეთი უნდა გაუგორდეს გერმანიას. თან დორტმუნდში კარგი ბალახია.

პა, ტო, ვლეწოთ ნემცების ფორით ერთიანი? თან ანგელა დეიდა კაკრაზ ეხლა იყო მოსკოვში... პახოდუ ამ თამაშზეც იქნებოდა ბაზარი. ეგენი იმენა შოტზეც იბაზრებდნენ. უეჭველში ტრი ნოლ დამთავრდება, დამიჯერე ფორით ერთიანია, რა!

— არა ძმაო, „ბაიერნის“ მერე გერმანიას საკათხე მანძილზე აღარ ვეკარები, ისევ აფრიკაში ენახავ რამე პატიოსან გუნდს, ან აგე, ჰოკეი იჩითება. ბურთი მრგვალია, შაიბა ბრტყელია. აქ უფრო ლოგიკურები ჯდება.

აჰა, აიკ — მოდო შვედეთში. კუთხურების მეტობაზე 20 კუში უწერია. თუმანს შევაგდებ, ხვალ მაყუთზე მოვალ.

— ჰო, ტრაილერით მოდი და ბირჟიდან მუშები წამოიყვანე, მარტო ვერ დატვირთავ...

**ძუში ძოშმარია**

ჩემი ბილეთი:
001. გერმანია — რუსეთი
შედეგი: გაზპრომის გაზი ყველა დორტმუნდელის სახლში!
სავარაუდო მოგება: პოლდიუმა ტრუბა.
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რატომ მივიდა
გუშინ „უოტერფორდთან“ მატჩისწინა
პრესკონფერენციაზე „ფინგალის“ ტრენერი
თვალდალურჯებული.

114140 *

# ძარცვა ბუენოს აირესში

**კარლოს ტევესის** ძმა, 29 წლის ხუან ალბერტო მარტინესი, ბუენოს აირესში, ბენზოგასამართ სადგურთან ინკასატორის ცარიელი მანქანის ძარცვისთვის დაიჭირეს. პოლიცია ვარაუდობს, რომ ძარცვა, რომლის დროსაც ბოროტმოქმედებს, ჟარგონით რომ ვთქვათ, იაღლიში მოუვიდათ, სწორედ ტევესის ძმის დაგეგმილი იყო. და კიდევ, რომ არ დავიბნეთ: ნუ გაგაკვირვებთ ის, რომ ტევესის ძმა გვარად მარტინესია, რადგან თავად ტევესიც სინამდვილეში მარტინესი გახლავთ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ არგენტინელი თავდამსხმელის ნამდვილი და სრული სახელი არის კარლოს ალბერტო მარტინესი, უბრალოდ დედის გვარზეა. კარლოს ალბერტო თავის მძარცველ ძმაზე ხუთი წლით უმცროსია.

ძარცვა კი ასე მოხდა: ოთხი ნიღბიანი ინკასაციის მანქანას მივარდა, იარაღის ძალით დაცვის თანამშრომლებს ფულიანი ყუთები გამოგლიჯა და გაიქცა. ერთ-ერთმა მძარცველმა მანქანის მძღოლს სამჯერ ესროლა კიდეც. ეს მას მერე მოხდა, რაც გაქცევისას ბოროტმოქმედმა შეამჩნია, რომ მან იარაღის ამოსაღებად ხელი ჯიბისკენ წაიღო.

სროლისა და ხმაურის შედეგად, მძარცველებს პოლიციელები გამოუდგნენ. მათი და დამნაშავეთა რბოლა დიდი სროლით იყო შეზავებული, თუმცა ყველაფერი ტევესის ძმისა და მისი ამფსონებისთვის ცუდად დასრულდა — მათ აღმოაჩინეს, რომ გატაცებული ყუთები ცარიელი იყო.

ხუან ალბერტო მარტინესი ფორტ აპაჩეში, არგენტინის დედაქალაქის იმ უბანში დააკავეს, სადაც ის




და მისი „იუნაიტედის“ ვარსკვლავი ძმა იზრდებოდნენ. დააპატიმრეს მავანი 35 წლის ხუან კარლოს ავალოსიც, რომლის გელფრენდი პატრისია ტევესი ფეხბურთელის ნახევარდაა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ პოლიციამ ტევესის კიდევ ერთ ძმას, დიეგოს, მანქანაში პისტოლეტი და ტყვიები უპოვნა. დიეგო როკერია.

**პაპუნა ძედია**




# მაფია იშლება

## კოკნის ნავიდან ერთი კაცი უკვე გადახტა

**ვინ არის** ტონი ხიმენესი? ის გახლავთ... უფრო სწორედ კი, უკვე გახლდათ, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ვიცე-პრეზიდენტი, ფანების მიერ „კოკნის მაფიად“ წოდებული ჯგუფის წევრი, რომელმაც კევინ კიგანის „კაჭკაჭთა“ მწვრთნელის თანამდებობიდან გაგდებაში, დენის უაიზთან ერთად დიდი როლი ითამაშა. და აი, ყველასთვის მოულოდნელად, ხიმენესი გადაგა.

თუმცა, სანამ ხიმენესის ამბავზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებდეთ, ვინმეს გულში ხინჯად რომ არ დარჩეს, განვმარტოთ, რას ნიშნავს „კოკნი“ და რა მაფიაზეა ლაპარაკი. „კოკნი“ გახლავთ ინგლისური სიტყვა, რომელიც ლონდონელს ან ლონდონის ისტენდის ჟარგონზე მოლაპარაკეს ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში, მთავარია, პირველი მნიშვნელობა — ლონდონელებზეა ლაპარაკი. უფრო ზუსტად, ლაპარაკია ხალხზე, რომელიც ქალაქ ნიუკასლის ფეხბურთის გუნდს დაეპატრონა და თავიანთი მართვის სტილით ადგილობრივები გაალიზიანა. კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნიუკასლელი ფანები ცნებაში „კოკნის მაფია“ ორ კაცს გულისხმობენ — პრეზიდენტ მაიკ ეშლის და დირექტორ დენის უაიზს. უაიზი ნამდვილად ლონდონელია, ფეხბურთელობისას „ჩელსიში“ გამოდიოდა, ეშლი კი, სინამდვილეში ბაკინგემშირიდან არის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ლონდონის სიახლოვესაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნიუკასლელებს ისე უნდოდათ თავიანთი უბედურებების დედაქალაქელებისთვის გადაბრალება, რომ „იუნაიტედის“ მმართველებს ერთობლივი სახელი მოუგონეს.

შემდეგ კი ცნებამ „კოკნის მაფია“ ორ კაცზე ფართო მნიშვნელობა მიიღო და მოიცვა ყველა, ვინც ეშლის გუნდის წევრი იყო. შესაბამისად, იქვე მოხვდა აწ უკვე გადამდგარი ვიცე-პრეზიდენტი ხიმენესიც, მითუფრო, რომ ის მართლა ბრიქსტონიდანაა.

საინტერესოა, რომ ხიმენესის გასამრჯელო „ნიუკასლ იუნაიტედში“ წელიწადში 750 000 გირვანქა იყო, რაც უფრო ფეხბურთელის ხელფასს ჰგავს, ვიდრე დირექტორისას. ბატონმა ხიმენესმა „კაჭკაჭთა“ ვიცე-პრეზიდენტად 9 თვე გაძლო. აქამდე ის ცნობილი იყო, როგორც დენის უაიზის მარჯვენა ხელი, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა „კოკნის მაფიის“ პირველი წევრი, ვინც კიგანის გაშვების შემდეგ თანამდებობა დატოვა. ბარემ აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ მაიკ ეშლის კლუბის გაყიდვა სურს და მყიდველს ეძებს.

ერთი სიტყვით, მას მერე, რაც ნიუკასლიდან კიგანი წავიდა, ადგილობრივმა ფანებმა ეშლისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოიწყეს. ისინი აწყობდნენ დემონსტრაციებს და სხვადასხვა ტიპის აქციებს „კოკნის მაფიის“ ქალაქიდან გაძევების მოთხოვნით, მაგრამ ერთადერთი, რასაც აქამდე მიაღწიეს, ის იყო, რომ ეს ხალხი სტადიონზე აღარ დადიოდა. კლუბი კვლავ მათ ხელში რჩებოდა. მოკლედ, ბოლო ხანებში ტრიბუნაზე მხოლოდ მენეჯინგ დირექტორი დერეკ ლამბიასი ჩანდა, მაგრამ აი, „მაფიის რღვევის“ პირველი ნიშანიც: ვიცე-პრეზიდენტი ხიმენესი ვიცე-პრეზიდენტი აღარ არის.

ორიოდ სიტყვით შეგახსენებთ იმას, რაც, რასაკვირველია, კარგად იცით: კევინ კიგანი გუნდიდან იმიტომ წავიდა, რომ „კოკნის მაფია“ სატრანსფერო საქმეებს მის ზურგსუკან ატრიალებდა, არადა ფაქტია, რომ როგორ ფეხბურთელებთან სურს მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელის გადასაწყვეტი უნდა იყოს. ამ საკითხში კიგანისთვის საქმეების მთავარი ამრევი დენის უაიზი გახლდათ, რომელმაც „ნიუკასლ იუნაიტედში“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა მიმდინარე წლის იანვარში დაიკავა (ხელფასად წელიწადში 1,2 მილიონი გირვანქა აქვს დანიშნული) და სწორედ მაშინ გამოჩნდა კლუბის ოფისში ტონი ხიმენესიც.

საძულველი ვიცე-პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ, „იუნაიტედის“ ფანთა ფანმა და, სავარაუდოდ, ეფრაზა „კოკნი მაფიას“ ავტორმა მეტ კინგსტონმა, ჟურნალისტებს უთხრა: „ახლა, როდესაც დენის უაიზის უდიდესი თანამზრახველი მისი ნავიდან ასე საჯაროდ გადახტა, საკუთრივ უაიზის თანამდებობაზე დარჩენის ვარიანტი აღარ არსებობს. ის არც არასოდეს უნდა მოსულიყო „ნიუკასლ იუნაიტედში“.

კლუბის ვებსაიტი აცხადებს, რომ ხიმენესის შემცვლელის ვინაობას საზოგადოება მალე შეიტყობს.

**პაპუნა ძედია**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:15 | 96 | დონხი-კარლაილი | 2.05 | 3.30 | 3.60 | 1.26 | 1.30 | 1.72 |
| 18:00 | 97 | როვერსი-ლეიტონი | 2.10 | 3.25 | 3.30 | 1.27 | 1.28 | 1.63 |
| 18:00 | 98 | ჰოლსოლი-პიტერბრო | 2.40 | 3.30 | 2.90 | 1.38 | 1.31 | 1.54 |
| 18:00 | 99 | ჩელტენემი-კოლჩესტერი | 2.35 | 3.10 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 18:00 | 101 | სქანთორპი-ქრიუ | 1.57 | 3.50 | 6.20 | 1.08 | 1.25 | 2.23 |
| 18:00 | 102 | საუთენდი-სტოკპორტი | 1.90 | 3.40 | 4.00 | 1.21 | 1.28 | 1.83 |
| 18:00 | 103 | ხუინდონი-ჰადერსფილდი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 104 | ტრანმერი-მილუოლი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| 18:00 | 105 | ლიდსი-ბრაიტონი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 106 | ოლდემი-ბრეფორდი | 1.57 | 3.60 | 6.00 | 1.09 | 1.24 | 2.25 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 109 | მაკლსფილდი-ალდერშოტი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 18:00 | 110 | აკრინგტონი-ბრედფორდი | 3.20 | 3.30 | 2.20 | 1.62 | 1.30 | 1.32 |
| 18:00 | 111 | შრიუსბერი-პორტ ვეილი | 1.57 | 3.50 | 6.00 | 1.08 | 1.24 | 2.21 |
| 18:00 | 112 | ბორნმუთი-როთერჰემი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:00 | 113 | ბერი-ექსეტერი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 114 | ჩესტერფილდი-ჩესტერი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| 18:00 | 115 | ჯილინგემი-მორკემბი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 116 | გრიმსბი-უიკომბი | 3.35 | 3.30 | 2.10 | 1.66 | 1.29 | 1.28 |
| 18:00 | 117 | ლუტონი-დარლინგტონი | 2.35 | 3.30 | 2.90 | 1.37 | 1.29 | 1.54 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 118 | ნოტსი-ბრენტფორდი | 2.50 | 3.30 | 2.65 | 1.42 | 1.28 | 1.46 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 131 | ლიუისი-ფორესტ გრინი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 133 | უოკინგი-იორკი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 134 | კიდერმინსტერი-ებსფლითი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 18:00 | 135 | სელისბერი-კეტერინგი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 136 | ქროული-ბაროუ | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 18:00 | 137 | კემბრიჯი-უეიმუთი | 1.70 | 3.50 | 5.00 | 1.14 | 1.26 | 2.05 |
| 18:00 | 138 | ნორთვიჩი-გრეისი | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 139 | ისტბორნი-სტივენეიჯი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 140 | ალტრინჰემი-ოქსფორდი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 141 | რაშდენი -ტორკი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 142 | ბარტონი-მენსფილდი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | უელსი. 1 ლიგა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 169 | ლანელი-პრესტატინი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 17:30 | 170 | კაერნარფონი-ნიუთაუნი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 17:30 | 171 | ბანგორი-პორტ ტალბოტი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 17:30 | 172 | აბერისტუითი-ეარბასი | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 17:30 | 173 | ნითი-უელშპული | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | ჩრდ ირლანდია. 1 ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 177 | კლიფტონვილი-ბანგორი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 18:00 | 178 | დანგანონი-გლენავონი | 2.10 | 3.25 | 3.40 | 1.27 | 1.29 | 1.66 |
| 18:00 | 179 | გლენტორანი-ინსტიტუტი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 18:00 | 902 | ბალიმენა-ლინფილდი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 18:00 | 903 | დისტილერი-კოლრეინი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | ავსტრია. ცენტრი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 860 | შტურმი მ-ვაიცი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 18:00 | 861 | კლაგენფურტი-ბად აუსე | 2.40 | 3.15 | 2.50 | 1.36 | 1.22 | 1.39 |
| | | ავსტრია. აღმოსავლეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 223 | ოსტბანი-ვინერბერგერი | 3.65 | 3.35 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| | | ავსტრია. დასავლეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 232 | ზტ.იოჰანი-პარდი | 2.80 | 3.20 | 2.15 | 1.49 | 1.21 | 1.28 |
| 17:30 | 233 | ბრეგენცი-აქსამსი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 18:00 | 234 | ფელკირხი-ჰოჰენემსი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 18:00 | 235 | დორნბირნი-ვატენსი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:00 | 236 | რაიხენაუ-ანიფი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 240 | სერვეტი-ლოზანა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 243 | რიმინი-ბრეშა | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 17:00 | 245 | მოდენა-პიაჩენცა | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 246 | ვიჩენცა-ანკონა | 1.95 | 2.90 | 4.25 | 1.16 | 1.33 | 1.72 |
| 17:00 | 247 | მანტოვა-აველინო | 1.40 | 3.60 | 9.00 | 1.00 | 1.21 | 2.57 |
| 17:00 | 248 | ტრიესტინა-ჩიტადელა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 17:00 | 249 | ლივორნო-ფროზინონე | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 17:00 | 250 | ტრევიზო-პარმა | 3.10 | 2.80 | 2.25 | 1.47 | 1.30 | 1.24 |
| 17:00 | 251 | ბარი-სასუოლო | 2.00 | 2.90 | 3.90 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| 22:45 | 252 | სალერნიტანა-ემპოლი | 2.60 | 2.80 | 2.85 | 1.34 | 1.35 | 1.41 |
| 17:00 | 253 | ასკოლი-გროსეტო | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 244 | ალბინოლეფე-პიზა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 255 | კრემონეზე-პრო პატრია | 2.40 | 2.70 | 3.20 | 1.27 | 1.37 | 1.46 |
| 17:00 | 256 | ლუმეცანე-სპალი | 2.50 | 2.60 | 3.10 | 1.27 | 1.38 | 1.41 |
| 17:00 | 257 | მონცა-ლეკო | 2.15 | 2.70 | 3.50 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 258 | ნოვარა-რეჯანა | 2.20 | 2.70 | 3.45 | 1.21 | 1.34 | 1.51 |
| 17:00 | 260 | პორტოგრუარო-სამბენედეტეზე | 1.85 | 2.90 | 4.45 | 1.12 | 1.30 | 1.75 |
| 17:00 | 261 | პრო სესტო-ლენიანო | 2.25 | 2.70 | 3.50 | 1.22 | 1.36 | 1.52 |
| 17:00 | 262 | ვერონა-რავენა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 17:00 | 263 | ჩეზენა-პერგოკრემა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 259 | პადოვა-ვენეცია | 1.95 | 2.90 | 4.35 | 1.16 | 1.34 | 1.74 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 264 | კროტონე-პოტენცა | 1.45 | 3.40 | 7.50 | 1.01 | 1.21 | 2.33 |
| 17:00 | 265 | ფოჯა-გალიპოლი | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 17:00 | 266 | პაგანეზე-კავეზე | 2.30 | 2.70 | 3.50 | 1.24 | 1.38 | 1.52 |
| 17:00 | 267 | პერუჯა-სტაბია | 2.10 | 2.70 | 3.75 | 1.18 | 1.34 | 1.56 |
| 17:00 | 268 | პესკარა-ლანჩანო | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| 17:00 | 269 | მარჩანიზე-ფოლინიო | 2.15 | 2.70 | 3.35 | 1.19 | 1.30 | 1.49 |
| 17:00 | 270 | სორენტო-ბენევენტო | 2.40 | 2.70 | 3.20 | 1.27 | 1.37 | 1.46 |
| 17:00 | 271 | ტერნანა-ტარანტო | 2.00 | 2.90 | 4.10 | 1.18 | 1.34 | 1.69 |
| 17:00 | 272 | არეცო-პისტოიეზე | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 25 | ლას პალმასი-სევილია ბ | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 20:30 | 274 | ალიკანტე-უესკა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 20:30 | 278 | მურსია-ერკულესი | 2.55 | 2.90 | 2.80 | 1.35 | 1.33 | 1.42 |
| 20:30 | 279 | სოსიედადი-ხერესი | 1.65 | 3.40 | 5.25 | 1.11 | 1.25 | 2.06 |
| 22:00 | 282 | სარაგოსა-ალავესი | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 273 | ალბასეტე-ტენერიფე | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| 20:00 | 275 | კორდობა-ხიმნასტიკი | 2.30 | 2.90 | 3.15 | 1.28 | 1.32 | 1.50 |
| 19:00 | 276 | ელჩე-სელტა | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 20:00 | 277 | ლევანტე-ხირონა | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 22:30 | 280 | სალამანკა-ეიბარი | 1.80 | 3.20 | 4.70 | 1.15 | 1.30 | 1.90 |
| 19:00 | 281 | ვალეკანო-კასტელონი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| | | ესპანეთი. სეგუნდა B I ჯგუფი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 283 | ლუგო-სამორა | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:45 | 284 | ხიხონი ბ-სელტა ბ | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| 14:00 | 285 | ვალიადოლიდი ბ-ხესტაო | 3.00 | 3.00 | 2.15 | 1.50 | 1.25 | 1.25 |
| 14:00 | 286 | რასინგი ბ-პონტევედრა | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 287 | ბარაკალდო-სოსიედადი ბ | 1.70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| 19:00 | 288 | დეპორტივო ბ-უნიონი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 19:00 | 289 | ბილბაო ბ-გიხუელო | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 20:00 | 290 | სანტიაგო-ფეროლი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 20:00 | 291 | ლეონესა-ლემონა | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 292 | ლუანკო-პონფერადინა | 3.20 | 3.00 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| | | ესპანეთი. სეგუნდა B II ჯგუფი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 293 | ატლეტიკო ბ-ალფარო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:00 | 294 | ლანსაროტე-ნავალკარნერო | 2.00 | 3.10 | 3.25 | 1.21 | 1.23 | 1.58 |
| 14:00 | 295 | კასტილია-უნივერსიდადი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 14:00 | 296 | სტ.ბრისიდა-ლორკა | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 14:00 | 297 | ლორკი-ვესინდარიო | 1.95 | 3.00 | 3.50 | 1.18 | 1.25 | 1.61 |
| 14:00 | 298 | ლას პალმასი ბ-ხანგონერა | 2.30 | 2.90 | 2.85 | 1.28 | 1.27 | 1.43 |
| 15:00 | 299 | ფუერტევენტურა-ალკორკონი | 1.80 | 3.25 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.73 |
| 19:00 | 300 | კარტახენა-ხანდია | 1.45 | 3.45 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.25 |
| 19:00 | 301 | ლეგანესი-მურსია ბ | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 20:00 | 302 | მერიდა-აგილასი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | ესპანეთი. სეგუნდა B III ჯგუფი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:30 | 303 | ბარსელონა ბ-ლეიდა | 2.30 | 2.95 | 2.80 | 1.29 | 1.26 | 1.43 |
| 20:00 | 304 | ვალენსია ბ-გრამენეტი | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:00 | 305 | იბისა-დენია | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 14:00 | 306 | ალხირა-სტ.ეულალია | 1.90 | 3.00 | 3.65 | 1.16 | 1.24 | 1.64 |
| 14:00 | 307 | ტერასა-ვალიარესი | 1.65 | 3.25 | 4.55 | 1.09 | 1.21 | 1.89 |
| 14:00 | 308 | გავა-სტ.ანდრეუ | 1.80 | 3.15 | 3.85 | 1.14 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 309 | ონტიმიენტი-ბენიდორმი | 2.00 | 3.00 | 3.35 | 1.20 | 1.25 | 1.58 |
| 19:00 | 310 | ბადალონა-ვილიარეალი ბ | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 20:00 | 311 | ორიუელა-საბადელი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 20:00 | 312 | ალკოიანო-ოსასუნა ბ | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | ესპანეთი. სეგუნდა B IV ჯგუფი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 313 | გუადალახარა-პორტუენსე | 2.00 | 3.10 | 3.25 | 1.21 | 1.23 | 1.58 |
| 20:00 | 314 | მარბელია-ლინარესი | 1.85 | 3.15 | 3.65 | 1.16 | 1.22 | 1.69 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:30 | 315 | ბეტისი ბ-პუერტოლიანო | 1.95 | 3.15 | 3.30 | 1.20 | 1.22 | 1.61 |
| 14:00 | 316 | ეხიდო-მელილია | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| 19:00 | 317 | ლინენსე-კონკუენსე | 2.35 | 2.90 | 2.75 | 1.29 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 318 | ანტეკერა-ლუსენა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 19:30 | 319 | კადისი-სეუტა | 1.65 | 3.20 | 4.65 | 1.08 | 1.21 | 1.89 |
| 19:30 | 320 | ერანადა-ესიხა | 1.55 | 3.30 | 5.45 | 1.05 | 1.20 | 2.05 |
| 21:00 | 321 | როკეტასი-გრანადა 74 | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:00 | 322 | ხაენი-სან ფერნანდო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 333 | ლანსი-ვენგამი | 1.60 | 3.30 | 6.70 | 1.07 | 1.29 | 2.21 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 345 | ანტვერპენი-ოლიმპიკი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 17:00 | 346 | დაინცე-რონსე | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 17:00 | 347 | ლიეჟი-ლევენი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 17:00 | 348 | ნამური-ბრიუხელი | 3.20 | 3.25 | 2.10 | 1.61 | 1.26 | 1.27 |
| 17:00 | 349 | ოსტენდე-ვირტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 17:00 | 350 | ტიხენი-სტ-ტრუიდენსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 17:00 | 351 | ტურნაი-ბეკერენი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 17:00 | 352 | ვაასლანდი-ლომელი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 12:15 | 371 | ხოკოლოვი-ხლოვაცკო | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 12:15 | 372 | ხპარტა ბ-ფულნეკი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 12:15 | 373 | ტრინეცი-დუკლა პრაღა | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 374 | ოლომოუცი-იჰლავა | 2.65 | 2.90 | 2.65 | 1.38 | 1.32 | 1.38 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 375 | ჩასლავი-ჰრადეც კრალოვე | 2.05 | 3.00 | 3.35 | 1.21 | 1.27 | 1.58 |
| 19:00 | 376 | ბოჰემიანსი 1905-კარვინა | 1.45 | 3.80 | 6.35 | 1.04 | 1.18 | 2.37 |
| | | სლოვენია. I ლიგა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 378 | პრიმორიე-დრავა | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 382 | ჰვიდოვრე-ტისტედი | 2.00 | 3.50 | 3.40 | 1.27 | 1.25 | 1.72 |
| 15:00 | 383 | როსკილდე-ჰერფიოლგე | 4.50 | 3.60 | 1.65 | 2.00 | 1.20 | 1.13 |
| 17:00 | 384 | ფრედერისია-ვიბორგი | 3.60 | 3.50 | 1.85 | 1.77 | 1.22 | 1.21 |
| 17:00 | 385 | კოგე-სკივე | 6.50 | 4.50 | 1.40 | 2.65 | 1.15 | 1.06 |
| 17:00 | 386 | ლოლანდი-კოლდინგი | 3.20 | 3.40 | 2.05 | 1.64 | 1.24 | 1.27 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 389 | სოგნდალი-ნიბერგსუნდი | 1.80 | 3.60 | 4.00 | 1.20 | 1.24 | 1.89 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 390 | სანდნესი-სანდეფიორდი | 3.80 | 3.60 | 1.85 | 1.84 | 1.24 | 1.22 |
| 17:00 | 391 | პიონეფოსი-ალტა | 1.45 | 4.30 | 5.80 | 1.08 | 1.15 | 2.46 |
| 17:00 | 392 | ბრინი-ჰაუგესუნდი | 2.10 | 3.40 | 3.20 | 1.29 | 1.26 | 1.64 |
| 17:00 | 393 | მოსი-სტარტი | 3.60 | 3.50 | 1.90 | 1.77 | 1.24 | 1.23 |
| 17:00 | 394 | კონგსვინგერი-ლიოვ ჰამი | 1.65 | 3.70 | 5.00 | 1.14 | 1.24 | 2.12 |
| 20:00 | 395 | ნოტოდენი-სარპსბორგი | 1.60 | 4.20 | 4.50 | 1.15 | 1.18 | 2.17 |
| 20:00 | 396 | ოდ გრენლანდი-პიოდი | 1.15 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.55 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 404 | ასირისკა-ფალკენბერგი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| 18:00 | 405 | ენჩიოპინგი-ატვიდაბერგი | 3.10 | 3.40 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 18:00 | 406 | ბრომაპოიკარნა-იორგრიტე | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 407 | ქვიდინგი-დეგერფორსი | 2.10 | 3.40 | 3.10 | 1.29 | 1.25 | 1.62 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 408 | პეკენი-მიალბიუ | 1.70 | 3.50 | 4:25 | 1.14 | 1.21 | 1.91 |
| 21:00 | 409 | ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 410 | სირიუსი-იონჩიოპინგი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 21:00 | 411 | ვესბი-ბუნკეფლო | 1.85 | 3.50 | 3.70 | 1.21 | 1.23 | 1.79 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:00 | 414 | ატლანტისი-იუვასკილა | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 15:00 | 415 | გრანკულა-ჯიპო | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 15:00 | 416 | ვიიკინგიტი-ტპვ ტამპერე | 1.35 | 4.30 | 6.70 | 1.02 | 1.12 | 2.61 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 417 | კპვ კოკოლა-ტპ47 | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 19:30 | 418 | ვიფკ ვაასა-კაპა | 1.40 | 4.10 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 425 | სლიგო-გალვეი | 1.80 | 3.40 | 4.50 | 1.17 | 1.28 | 1.93 |
| | | ირლანდია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 431 | ატლონე-შელბურნი | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| 22:30 | 432 | ლონგფორდი-ლიმერიკი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 04:00 | 434 | კანზასი-ნიუ ინგლენდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 04:30 | 435 | დალასი-ტორონტო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 06:00 | 436 | სან ხოსე-ჩივასი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.47 |
| 23:00 | 437 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.28 | 1.52 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 438 | ჰიუსტონი-ვაშინგტონი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 04:00 | 439 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2.15 | 3.25 | 3.00 | 1.29 | 1.25 | 1.55 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 05:45 | 440 | ატლასი-მონტერეი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 06:00 | 441 | ატლანტე-ინდიოსი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 02:00 | 442 | იაგუარესი-ნეკასა | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 02:00 | 443 | სან ლუისი-გუადალახარა | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 04:00 | 444 | ტიგრესი-ტეკოსი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 01:00 | 445 | პაჩუკა-სანტოსი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 446 | მორელია-ტოლუკა | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 21:00 | 447 | პუმასი-კრუზ ასული | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:00 | 448 | ამერიკა-პუებლა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:20 | 455 | ატლეტიკო პრ-ფლუმინენსე | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 01:20 | 456 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1.60 | 3.50 | 5.25 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 01:20 | 457 | გოიასი-ინტერნასიონალი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 01:20 | 458 | პორტუგესა-კურიტიბა | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | ფუტზალი მჩ 2008 ბრაზილია | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 904 | არგენტინა-პარაგვაი | 1.90 | 4.10 | 2.60 | 1.29 | 1.09 | 1.59 |
| 17:30 | 905 | არგენტინა-1.5-პარაგვაი1.5 | 2.30 | 1.30 | | | | |
| 17:30 | 906 | არგენტინა-პარაგვაი(წყ/კენ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 17:30 | 907 | არგენტინა-პარაგვაი 6,5 | 1.50 | 2.10 | | | | |
| 17:30 | 908 | ბრაზილია-ირანი | 1.01 | 14.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.00 |
| 17:30 | 909 | ბრაზილია-4.5-ირანი4.5 | 1.60 | 2.00 | | | | |
| 17:30 | 910 | ბრაზილია-ირანი(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 17:30 | 911 | ბრაზილია-ირანი 6.5 | 2.00 | 1.50 | | | | |
| 19:30 | 912 | ესპანეთი-რუსეთი | 1.30 | 5.00 | 5.00 | 1.03 | 1.03 | 2.50 |
| 19:30 | 913 | ესპანეთი-1.5-რუსეთი1.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 19:30 | 914 | ესპანეთი-რუსეთი(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 19:30 | 915 | ესპანეთი-რუსეთი 6.5 | 1.50 | 1.90 | | | | |
| 19:30 | 916 | იტალია-უკრაინა | 1.45 | 4.50 | 4.50 | 1.09 | 1.09 | 2.25 |
| 19:30 | 917 | იტალია-1.5-უკრაინა1.5 | 1.90 | 1.70 | | | | |
| 19:30 | 918 | იტალია-უკრაინა(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 19:30 | 919 | იტალია-უკრაინა 6.5 | 1.40 | 2.20 | | | | |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 1 | მალავი-კონგო დრ | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:00 | 2 | ტანზანია-კაპე ვერდე | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:30 | 4 | ბოტსვანა-მოზამბიკი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:30 | 5 | კამერუნი-მავრიტიუსი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 18:30 | 6 | გაბონი-ლიბია | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 18:30 | 7 | განა-ლესოტო | 1.10 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 5.00 |
| 18:30 | 8 | კოტ დივუარი-მადაგასკარი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 19:00 | 9 | ნამიბია-ზიმბაბვე | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 19:00 | 10 | ნიგერია-სიერა ლეონე | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 11 | ტუნისი-სეიშელი | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| 19:30 | 13 | ტოგო-სვაზილანდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 20:00 | 14 | სენეგალი-გამბია | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 22:00 | 15 | სუდანი-კონგო | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 22:30 | 16 | მაროკო-მავრიტანია | 1.12 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.77 |
| 20:00 | 20 | ლიბერია-ალჟირი | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 23:00 | 50 | ბოლივია-პერუ | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:55 | 56 | აშშ-კუბა | 1.12 | 7.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.75 |
| 23:30 | 59 | სურინამი-კოსტა რიკა | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 18:00 | 61 | შოტლანდია-ნორვეგია | 2.10 | 3.10 | 3.60 | 1.25 | 1.32 | 1.66 |
| 18:00 | 62 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.30 | 5.00 | 10.00 | 1.03 | 1.15 | 3.33 |
| 18:00 | 63 | ფინეთი-აზერბაიჯანი 0:1 | 1.55 | 3.60 | 3.65 | | | |
| 22:30 | 64 | პოლონეთი-ჩეხეთი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 22:15 | 65 | სერბეთი-ლიტვა | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |
| 19:00 | 66 | ფარერები-ავსტრია | 12.00 | 6.00 | 1.20 | 4.00 | 1.09 | 1.00 |
| 19:00 | 67 | ფარერები-ავსტრია 1:0 | 6.10 | 4.50 | 1.20 | | | |
| 19:45 | 68 | შვეიცარია-ლატვია | 1.57 | 3.70 | 5.50 | 1.10 | 1.22 | 2.21 |
| 20:15 | 69 | ინგლისი-ყაზახეთი | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |
| 20:15 | 70 | ინგლისი-ყაზახეთი 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 20:30 | 71 | უელსი-ლიხტენშტაინი | 1.14 | 7.00 | 18.00 | 1.00 | 1.07 | 5.03 |
| 20:30 | 72 | უელსი-ლიხტენშტაინი 0:1 | 1.20 | 4.50 | 6.00 | | | |
| 21:00 | 73 | უკრაინა-ხორვატია | 2.55 | 3.20 | 2.75 | 1.41 | 1.32 | 1.47 |
| 22:40 | 74 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.90 | 3.20 | 2.35 | 1.52 | 1.29 | 1.35 |
| 21:45 | 75 | უნგრეთი-ალბანეთი | 1.55 | 3.60 | 6.25 | 1.08 | 1.24 | 2.28 |
| 22:00 | 76 | შვედეთი-პორტუგალია | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 22:00 | 77 | თურქეთი-ბოსნია | 1.50 | 3.90 | 7.00 | 1.08 | 1.23 | 2.50 |
| 22:00 | 78 | თურქეთი-ბოსნია 0:1 | 1.90 | 3.50 | 2.70 | | | |
| 22:15 | 79 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 22:15 | 80 | ლუქსემბურგი-ისრაელი 1:0 | 3.60 | 3.60 | 1.60 | | | |
| 22:00 | 81 | დანია-მალტა | 1.05 | 10.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 22:00 | 82 | დანია-მალტა 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 22:15 | 83 | ბულგარეთი-იტალია | 3.80 | 3.30 | 2.00 | 1.76 | 1.31 | 1.24 |
| 22:30 | 84 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.23 | 6.00 | 10.00 | 1.02 | 1.09 | 3.75 |
| 22:30 | 85 | საბერძნეთი-მოლდოვა 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.00 | | | |
| 22:30 | 86 | სან მარინო-სლოვაკეთი | 25.00 | 8.30 | 1.06 | 6.23 | 1.01 | 1.00 |
| 22:30 | 87 | სან მარინო-სლოვაკეთი 1:0 | 8.00 | 5.00 | 1.15 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 88 | სლოვენია-ჩრ. ირლანდია | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 22:45 | 89 | ბელგია-სომხეთი | 1.25 | 5.50 | 12.00 | 1.01 | 1.13 | 3.77 |
| 22:45 | 90 | ბელგია-სომხეთი 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.10 | | | |
| 22:45 | 91 | ესტონეთი-ესპანეთი | 15.00 | 5.50 | 1.20 | 4.02 | 1.11 | 1.00 |
| 22:45 | 92 | ესტონეთი-ესპანეთი 1:0 | 4.00 | 3.70 | 1.50 | | | |
| 22:45 | 93 | გერმანია-რუსეთი | 1.85 | 3.30 | 4.50 | 1.18 | 1.31 | 1.90 |
| 22:45 | 94 | ჰოლანდია-ისლანდია | 1.16 | 6.30 | 16.00 | 1.00 | 1.08 | 4.52 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 17 | უგანდა-ბენინი | 1.65 | 3.40 | 4.35 | 1.11 | 1.19 | 1.90 |
| 17:30 | 18 | ბურუნდი-ბურკინა ფასო | 4.30 | 3.30 | 1.85 | 1.86 | 1.29 | 1.18 |
| 18:00 | 19 | ანგოლა-ნიგერი | 1.25 | 5.30 | 10.00 | 1.01 | 1.11 | 3.46 |
| 21:00 | 21 | გვინეა-კენია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:00 | 22 | მალი-ჩადი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 22:00 | 23 | ეგვიპტე-ჯიბუტი | 1.01 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 23:55 | 51 | ვენესუელა-ბრაზილია | 7.00 | 3.50 | 1.45 | 2.33 | 1.20 | 1.02 |
| 01:10 | 52 | არგენტინა-ურუგვაი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 02:15 | 53 | კოლუმბია-პარაგვაი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 01:55 | 54 | ეკვადორი-ჩილე | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 05:30 | 55 | ჰონდურასი-კანადა | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 04:00 | 57 | იამაიკა-მექსიკა | 5.80 | 3.70 | 1.50 | 2.25 | 1.19 | 1.06 |
| 06:00 | 58 | გვატემალა-ტრინიდადი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 02:00 | 60 | ჰაიტი-სალვადორი | 3.15 | 3.30 | 2.10 | 1.61 | 1.25 | 1.28 |
| | | უეფა. ევ შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 708 | იტალია 21-ისრაელი 21 | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:30 | 709 | დანია 21-სერბეთი 21 | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 710 | შვეიცარია 21-ესპანეთი 21 | 4.70 | 3.35 | 1.65 | 1.95 | 1.22 | 1.10 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 46 | პარტიკი-ერდრი | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 47 | როსი-მორტონი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | ჰოკეი. NHL | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 504 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1.80 | 3.80 | 3.40 | 1.22 | 1.17 | 1.79 |
| 03:00 | 505 | კაროლინა-ფლორიდა | 1.60 | 4.50 | 2.90 | 1.18 | 1.03 | 1.76 |
| 03:00 | 506 | რეინჯერსი-ჩიკაგო | 1.80 | 3.80 | 3.35 | 1.22 | 1.17 | 1.78 |
| 03:30 | 507 | ბუფალო-მონრეალი | 2.00 | 4.50 | 2.30 | 1.38 | 1.06 | 1.52 |
| 03:30 | 508 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2.20 | 4.20 | 2.25 | 1.44 | 1.11 | 1.46 |
| 04:30 | 509 | სტ.ლუისი-ნეშვილი | 2.00 | 4.50 | 2.30 | 1.38 | 1.06 | 1.52 |
| 04:30 | 510 | დალასი-კოლამბუსი | 1.60 | 4.80 | 3.10 | 1.20 | 1.05 | 1.88 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 541 | ბრიუნესი-სოდერტელიე | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| 18:00 | 542 | იურგორდენი-ფროლუნდა | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 18:00 | 544 | აიკ-მოდო | 2.40 | 4.00 | 2.20 | 1.50 | 1.14 | 1.41 |
| 20:30 | 545 | ტიმრე-ფერიესტადი | 2.25 | 4.00 | 2.40 | 1.44 | 1.16 | 1.50 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 560 | იოკერიტი-ილვესი | 1.65 | 4.30 | 3.10 | 1.19 | 1.07 | 1.80 |
| 19:00 | 561 | კერპეტი-პელიკანსი | 1.60 | 4.30 | 3.20 | 1.16 | 1.06 | 1.83 |
| 19:00 | 562 | ლუკო-ჰელსინკი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 19:00 | 563 | სეიპა-იუვესკიულე | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 20:30 | 564 | ესეტი-ესპოო | 3.00 | 4.20 | 1.80 | 1.75 | 1.12 | 1.25 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 578 | ზლინი-პლზენი | 2.10 | 4.00 | 2.40 | 1.37 | 1.12 | 1.50 |
| 19:00 | 579 | სპარტა-ლიტვინოვი | 1.45 | 4.30 | 4.10 | 1.08 | 1.07 | 2.09 |
| 19:00 | 580 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1.50 | 4.30 | 3.90 | 1.11 | 1.08 | 2.04 |
| 19:00 | 581 | ტრჟინეცი-ზნოიმო | 1.90 | 4.10 | 2.60 | 1.29 | 1.09 | 1.59 |
| 19:30 | 582 | ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 2.50 | 4.00 | 2.15 | 1.53 | 1.15 | 1.39 |
| 19:30 | 583 | კლადნო-ლიბერეცი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 20:00 | 584 | პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 1.95 | 4.10 | 2.60 | 1.32 | 1.11 | 1.59 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 624 | სერვეტი-ციურიხი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 22:45 | 625 | კლოტენი-ლუგანო | 1.85 | 4.20 | 2.85 | 1.28 | 1.12 | 1.69 |
| 22:45 | 626 | რაპერსვილი-ბიელი | 2.00 | 4.20 | 2.55 | 1.35 | 1.12 | 1.58 |
| 22:45 | 627 | ლანგნაუ-ამბრი | 1.90 | 4.20 | 2.75 | 1.30 | 1.12 | 1.66 |
| 22:45 | 628 | ცუგი-დავოსი | 2.40 | 4.20 | 2.15 | 1.52 | 1.13 | 1.42 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:15 | 659 | კანტუ-სიენა | 6.00 | 12.00 | 1.10 | 4.00 | 1.00 | 1.00 |
| 20:15 | 660 | ბენეტონი-აველინო | 1.60 | 12.00 | 2.30 | 1.41 | 1.00 | 1.93 |
| 20:15 | 661 | რიეტი-მონტეგრანარო | 1.75 | 12.00 | 2.00 | 1.52 | 1.00 | 1.71 |
| 20:15 | 662 | სკავოლინი-მილანი | 1.80 | 12.00 | 1.90 | 1.56 | 1.00 | 1.64 |
| 20:15 | 663 | ტერამო-ფერარა | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| 20:15 | 664 | უდინე-ბოლონია | 2.10 | 12.00 | 1.65 | 1.78 | 1.00 | 1.45 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 677 | ბარსელონა-ვალენსია | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 21:00 | 678 | უნიკახა-ტაუ | 1.55 | 12.00 | 2.40 | 1.37 | 1.00 | 2.00 |
| 21:00 | 679 | ესტუდიანტესი-მურსია | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 680 | გრანადა-სან ფერნანდო | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 14:30 | 681 | ბრუესა-რეალი | 4.00 | 12.00 | 1.20 | 3.00 | 1.00 | 1.09 |
| 14:30 | 682 | ფუენლაბრადა-ხუნკაბლე | 1.75 | 12.00 | 2.10 | 1.52 | 1.00 | 1.78 |
| 14:30 | 683 | მენორკა-ხუვენტუდი | 2.60 | 12.00 | 1.45 | 2.13 | 1.00 | 1.29 |
| 21:00 | 684 | მანრესა-ბილბაო | 1.85 | 12.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.64 |
| | | კალათბურთი. საფრანგეთი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 686 | ბეზანსონი-ლე ავრი | 2.00 | 12.00 | 1.80 | 1.71 | 1.00 | 1.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 687 | დიჟონი-როუენი | 1.30 | 12.00 | 3.50 | 1.17 | 1.00 | 2.70 |
| 22:00 | 688 | ტულონი-ნანსი | 2.10 | 12.00 | 1.70 | 1.78 | 1.00 | 1.48 |
| 22:00 | 689 | ლე მანი-შალონი | 1.08 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:00 | 690 | ორლეანი-როანე | 1.80 | 12.00 | 1.90 | 1.56 | 1.00 | 1.64 |
| 22:00 | 691 | ვიში-სტრასბური | 1.65 | 12.00 | 2.10 | 1.45 | 1.00 | 1.78 |
| 22:00 | 692 | შოლე-გრაველინი | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| | | კალათბურთი. გერმანია | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 695 | ულმი-სკაილაინერსი | 1.70 | 12.00 | 2.00 | 1.48 | 1.00 | 1.71 |
| 21:30 | 696 | ბონი-ერტლანდი | 1.40 | 12.00 | 2.70 | 1.25 | 1.00 | 2.20 |
| 21:30 | 698 | პადერბორნი-ბამბერგი | 2.50 | 12.00 | 1.40 | 2.06 | 1.00 | 1.25 |
| 21:30 | 699 | ნორდლინგენი-ტრირი | 1.40 | 12.00 | 2.70 | 1.25 | 1.00 | 2.20 |
| 22:00 | 700 | ტიუბინგენი-ახენი | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 701 | აისბარენი-ოლდენბურგი | 1.65 | 12.00 | 2.10 | 1.45 | 1.00 | 1.78 |
| 19:00 | 702 | კიოლნი-ალბა ბერლინი | 4.00 | 12.00 | 1.20 | 3.00 | 1.00 | 1.09 |
| 19:00 | 703 | ლუდვიგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 1.40 | 12.00 | 2.60 | 1.25 | 1.00 | 2.13 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 792 | ზაპოროჟიე(უკრ)-ვესპრემი(უნგრ) | 5.00 | 12.00 | 1.15 | 3.52 | 1.00 | 1.04 |
| 18:10 | 793 | ფსკ-ჰამბურგი(გერ) | 2.90 | 9.00 | 1.45 | 2.19 | 1.00 | 1.24 |
| 19:00 | 794 | გრანიტასი(ლიტ)-შამბერი(საფრ) | 5.50 | 12.00 | 1.15 | 3.77 | 1.00 | 1.04 |
| 19:45 | 795 | ცელიე(სლოვ)-ჰამარბიუ(შვედ) | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 21:30 | 796 | ტატრანი(სლოვ)-ცრ.ზვეზდა(სერბ) | 1.30 | 11.00 | 3.70 | 1.16 | 1.00 | 2.76 |
| 22:15 | 797 | ბრეგენცი(ავს)-ადემარი(ესპ) | 7.00 | 12.00 | 1.10 | 4.42 | 1.00 | 1.00 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:50 | 798 | დოუკასი-სვენდბორგი(დან) | 5.50 | 12.00 | 1.15 | 3.77 | 1.00 | 1.04 |
| 19:00 | 799 | ბარსელონა(ესპ)-მეტალურგი(მაკ) | 1.01 | 16.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.46 |
| 19:00 | 800 | მონპელიე(საფრ)-ამიჩიტია(შვეიც) | 1.10 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 19:15 | 801 | პიკი-ლიოვენი(გერ) | 1.65 | 8.50 | 2.30 | 1.38 | 1.00 | 1.81 |
| 19:45 | 802 | კროაცია(ხორ)-ვისლა(პოლ) | 1.01 | 16.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 7.17 |
| 19:55 | 803 | ხოუდად რეალი(ესპ)-ბოსნა(ბოს) | 1.01 | 18.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.87 |
| 20:00 | 804 | სტიაუა(რუმ)-კოპერი(სლოვ) | 1.60 | 9.00 | 2.50 | 1.35 | 1.00 | 1.95 |
| | | ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 771 | ტუმბა-ისტადი | 1.55 | 9.00 | 2.50 | 1.32 | 1.00 | 1.95 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 772 | გუიფი-სკიოვდე | 1.90 | 8.00 | 2.00 | 1.53 | 1.00 | 1.60 |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 773 | ტრელებორგი-ალინგსასი | 2.80 | 10.00 | 1.50 | 2.18 | 1.00 | 1.30 |
| 21:00 | 775 | რედბერგსლიდი-ლუგი | 1.90 | 8.00 | 2.00 | 1.53 | 1.00 | 1.60 |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 743 | ლინცი-გენსერნდორფი | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 744 | ტულნი-ფივერსი | 3.30 | 10.00 | 1.35 | 2.48 | 1.00 | 1.18 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 749 | დორმაგენი-ნორდჰორნი | 5.00 | 10.00 | 1.16 | 3.33 | 1.00 | 1.03 |
| 17:00 | 750 | ფლენსბურგი-ესენი | 1.01 | 15.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.96 |
| 17:00 | 751 | მელსუნგენი-კილი | 10.00 | 15.00 | 1.03 | 6.00 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 752 | შტრალსუნდი-გუმერსბახი | 6.00 | 12.00 | 1.15 | 4.00 | 1.00 | 1.04 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 753 | გროსვალშტადტი-ლემგო | 2.25 | 8.50 | 1.70 | 1.77 | 1.00 | 1.41 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 756 | არატე-ვალიადოლიდი | 1.90 | 8.00 | 2.00 | 1.53 | 1.00 | 1.60 |
| 20:00 | 757 | ალკობენდასი-გრანოლიერსი | 3.10 | 9.00 | 1.40 | 2.30 | 1.00 | 1.21 |
| 20:30 | 758 | ანტეკერა-კუენკა | 1.30 | 10.00 | 3.50 | 1.15 | 1.00 | 2.59 |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 759 | არაგონი-ტეუკრო | 1.35 | 10.00 | 3.50 | 1.18 | 1.00 | 2.59 |
| | | ხელბურთი. კაცები საფრანგეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 768 | სელესტა-სტ.რაფაელი | 1.70 | 9.00 | 2.30 | 1.42 | 1.00 | 1.83 |
| | | ხელბურთი. კაცები ნორვეგიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 788 | ჰაუგალანდი-ბოდიო | 3.10 | 10.00 | 1.45 | 2.36 | 1.00 | 1.26 |
| | | ამერიკული. ფეხბურთი. | | | | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 922 | ატლანტა-ჩიკაგო | 2.10 | 1.60 | | | | |
| 21:00 | 923 | ჰიუსტონი-მაიამი | 1.60 | 2.10 | | | | |
| 21:00 | 924 | ინდიანაპოლისი-ბალტიმორი | 1.50 | 2.50 | | | | |
| 21:00 | 925 | მინესოტა-დეტროიტი | 1.15 | 5.00 | | | | |
| 21:00 | 926 | ნიუ ორლეანი-ოკლანდი | 1.30 | 3.10 | | | | |
| 21:00 | 927 | ნიუ იორკი-ცინცინატი | 1.40 | 2.60 | | | | |
| 21:00 | 928 | ტამპა ბეა-კაროლინა | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 929 | ვაშინგტონი-სტ ლუისი | 1.15 | 5.00 | | | | |
| 23:55 | 930 | დენვერი-ხაგუარესი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 23:55 | 931 | არიზონა-დალასი | 2.50 | 1.40 | | | | |
| 23:55 | 932 | სან ფრანცისკო-ფილადელფია | 2.60 | 1.40 | | | | |
| 23:55 | 933 | სიეტლი-პაკერსი | 1.70 | 1.90 | | | | |
| | | 13 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:15 | 934 | სან დიეგო-ნიუ ენგლანდი | 1.40 | 2.60 | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:15 | 935 | კლივლენდი-ნიუ იორკი გიანტსი | 3.10 | 1.30 | | | | |
| | | კრივი | | | | | | |
| | | 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 920 | ვიტ კლიჩკო-ს პიტერი | 1.45 | 20.00 | 2.50 | | | |
| | | 12 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:00 | 921 | ჩ დოუსონი-ა ტარვერი | 1.35 | 12.00 | 3.10 | | | |



გერმანიის ხელბურთელთა მეოთხე ლიგაში ქართველი მეკარე 27 წლის არჩილ გარიშვილი თამაშობს. გარიშვილის გუნდს „ვეიდენს" საამსეზონოდ მესამე ლიგაში ასვლა აქვს ჩაფიქრებული და წლეულს ხუთი თამაშიდან სამი უკვე მოიგო. ბუნებრივია მეოთხე ლიგის ხსენებაზე ცოტა ალმაცერად შეიძლება შეხედოს კაცმა ამ ამბავს აბა მეოთხე ლიგა რა უნდა იყოსო, მაგრამ ვისაც გერმანული ხელბურთის დონეზე რამე სმენია, იმისთვის ადვილი მისახვედრი იქნება, რომ თუნდაც მეოთხე ლიგაში საკმაოდ სერიოზული დონეა.

არჩილ გარიშვილს საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია. გასული წლის დეკემბერში თურქეთში ჩატარებული სამი ამხანაგური თამაში ითამაშა, მერე 20 იანვარს გასამართ „ჩელენჯ ტროფის" ფინალზეც იყო მიწვეული, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მისი ნორვეგიაში ჩასვლა აღარ მოხერხდა.

არჩილი ახლა თბილისშია, ვისტუმრეთ და საკლუბო და სანაკრებო ამბებზე ვკითხეთ, თუმც თავიდან ის გვიამბო, თამაში, როდის და სად დაიწყო...

# ფიზიკოსი გარიშვილი გერმანელებს სწავლისთვის დაეთხოვა

— ხელბურთის თამაში 1998 წელს ასკ-ში დავიწყე, რომელსაც მერე „თბილისი" დაერქვა. 2004 წელს გერმანიაში წავედი და ერთი სეზონი „ვოტსდამში" ვიყავი. ამას ისევ თბილისში დაბრუნება მოჰყვა. ერთი სეზონიც აქ ჩავამთავრე და „ვეიდენში" წავედი სათამაშოდ. ეს გუნდი ქალაქ ვურსელენშია, იქ სულ 50 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ინტერესის ნაკლებობას არასდროს არ ვუჩიოდი. 500 მაყურებელი ყოველთვის დადის თამაშზე და გულმხურვალედ გვქომაგობს.

— ლეგიონერი მარტო შენ ხარ?

— კი მარტო ვარ და რაც მთავარია კარგად შევეწყვე გუნდს. ძალიან მეგობრული გარემოა. წლეულს გვინდა მესამე ლიგაში ასვლა, მაგრამ ამის გაკეთება უკვე ჩემ გარეშე მოუწევთ. მე მაისამდე თბილისში მომიწევს ყოფნა.

— რატომ?

— გერმანიაში თამაშის გარდა ვსწავლობ კიდეც. ფიზიკოსი ვარ. იქ საკმაოდ კარგი კვლევითი ინსტიტუტია, მაგრამ ახლა ლექციების კურსი მაქვს, მაგრამ გერმანული კარგად არ ვიცი. ინგლისურად ვსწავლობდი. თბილისში იმიტომ ჩამოვედი, რომ აქ ვისწავლო და მაისში ისევ გერმანიაში დავბრუნდე. ხელმძღვანელობაც მელოდება.

— აქ „თბილისში" ითამაშებ, მაგრამ ცუდ დროს მოგიწია ჩამოსვლა. ჩემპიონატის ჩატარების თვალსაზრისით გარკვეული პრობლემებია?

— ძალიან ცუდი, ისე კი მაგრად მინდა თამაში. ახლა ჩემი სათამაშო პრაქტიკის გარეშე ყოფნა არ შეიძლება. იქ კვირაში ოთხჯერ ვვარჯიშობდით და მერე ერთი თამაშიც გვქონდა. ძალიან მაღალი დონის მწვრთნელი გვყავს — ანდრეას ჰეკენჰაუზენი. აქ ამის პრობლემაცაა. „თბილისმა" იქ, რომ ითამაშოს, სამწუხაროდ, სამეულშიც ვერ მოხვდება.

— ახლა რომელ ადგილზე ხართ ჩემპიონატში?

— მე-4 ადგილზე ვართ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის. 14-გუნდიანი ლიგაა და ერთი გუნდი ადის მაღლა, თუმც შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მეორეც ავიდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული სხვა ლიგებში რამდენ ქულას დააგროვებენ კონკურენტები. ამ ეტაპზე ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენებაა „ოქტომბერფესტის" გამო.

— რამდენად კარგი პირობები გაქვთ შექმნილი?

— 300 ევროს გვაძლევენ თვეში და ბევრი მოთამაშე პარალელურად მუშაობს. მე როგორც ვთქვი ვსწავლობ. იმის შესაძლებლობაც აქვს ბიჭებს, რომ პატარა ბავშვები მოამზადონ ჩვენივე გუნდის და ამაშიც ფულს უხდიან. მოკლედ პირობების მხრივ ყველაფერი რიგზეა. „ვაიდენს" ფეხბურთის, კალათბურთის და კიდევ სხვა გუნდები ჰყავს. ხელბურთში კი ასაკობრივი გუნდია და შევსება დიდ გუნდში მიდის. მაისში სწავლის დავამთავრებ და აუცილებლად დავბრუნდები.

**ლექსო მაისურაძე**



# დუბაიში გეორ-გიამ დოლარები ჩაიჯიბა

**დუბაიში** მიმდინარე პლაჟბურთელთა ტურნირს ჩვენმა ფრენბურთელებმა უკვე ხელი დაუქნიეს.

საქა-რთველომ პირველ წრეში ყაზახები, ალენკინა-სიმბალოვას დუეტი 2:0 დაამარცხა, მაგრამ მერე ვერაფერი მოუხერხა კანადელებს, ლესარდს და მარტინს — 1:2. ოღონდ იმის გამო, რომ ძირითად ბადეში პლაჟბურთელებს ერთი წაგების უფლება აქვთ, ჩვენმა წყვილმა ბრძოლა გააგრძელა, თუმც ამერიკელებთან, მასონთან და ტურნერთან, 0:2 დათმო და დუბაის ტურნირს დაემშვიდობა.

გეორ-გიამ პირველ წრეში 2:0 მიაყარა რუსებმა — [illegible] და რომაშკინი. მერე იგივე ანგარიშით შვეიცარიელებთან, ლატიგასთან და შნიდერთან წააგო.

მომდევნო მეტოქე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები იყვნენ, გროტოვსკი და ვივერი და ქართულმა წყვილმა 2:1 მოიგო. ამის შემდეგ არგენტინელი ბარაკეტი-სალერას წყვილთან 2:0 დამარცხდნენ, რაც მე-13 მე-16 ადგილების დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი.

რენატომ და ჟორჟიმ 180 სარეიტინგო ქულა და 3900 დოლარიც მიითვალეს.

**ნიკა კოპაძე**



# საქართველო მოსაგებმა მოიგო







**გუშინ** ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე დასრულდა 2008 წლის საქართველოს ჩემპიონატი ერთეულთა და წყვილთა შორის. წყვილების გამარჯვებულ-დამარცხებულებზე გუშინ გვეწერა, ერთეულების ფინალებში კი ფავორიტებმა ივარგეს.

ქალებში მანანა შაფაქიძემ ანა ჯიქიას მოუგო საკმაოდ იოლად — 6:2 6:2. მესამე ადგილს კი ნინო მებუკე დაეუფლა.

კაცთა შორის გიორგი ხრიკაძე გახდა საქართველოს ჩემპიონი. მან პირველი სეტი 6:1 მოუგო ალექსანდრე თავხელიძეს, მეორე სეტში კი ტაიბრეიკში 7:6 იმარჯვა.

ინდივიდუალურ გათამაშებაში გამარჯვებულებს ჩემპიონის სტატუსთან ერთად 500-500 დოლარი ერგოთ. მეორე ადგილზე გასულებმა 250-250 დოლარი მიიღეს, ხოლო მესამეზე — 150-150 დოლარი.

**ზურაბ მიგრიაული**

# გორგოძემ ბარსელონაში მეოთხედი გაინაღდა

**ბარსელონაში** მიმდინარე ტურნირზე ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ მეოთხედფინალს უწია. მერვედფინალში ჩვენებურმა ტურნირის მე-6 ნომერი, ესპანელი სანდრა სოლერ-სოლა დაამარცხა სამ სეტში — 6:2 2:6 6:4.

მეოთხედფინალში გორგოძეს ფრანგი სინდი შალა დაუპირისპირდება. ფრანგმა მეჩოგნემ მეოთხედფინალში ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილი რუსი ელიზავეტა ტოჩილოვსკაია დაჯაბნა.

ბარსელონური შეჯიბრების საპრიზო ფონდი 10 ათასი აშშ დოლარია.

# კალაშნიკოვამ მექსიკაში ოთხჯერ გაისროლა

**18 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ 25 ათასიან ტურნირზე, რომელიც მექსიკაში სან ლუის პოტოსში მიმდინარეობს, მეოთხედფინალში გააღწია.

კალაშნიკოვამ მექსიკური ჩოგნაობა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო და ორი მატჩის მოგების შემდეგ ძირითად ბადეში მოხვდა. იქ კი პირველ წრეში ჯერ არგენტინელ ვანესა ფურლანეტოს მოუგო, გუშინ კი, მერვედფინალში ესპანელი არანჩა პარა-სანტონია 6:4 4:6 7:6 (7:5) დაჩოგნა.

მეოთხედფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე კიდევ ერთი არგენტინელი ვერონიკა შპიგელი იქნება.



# ჩავუყაროთ ბურთები აუზში ბიჭებს!

**ქართული** წყალბურთი წარმოუდგენელია ირაკლი ჩხიკვაძის პიროვნების გარეშე. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ის, ჯერ როგორც მოთამაშე და შემდეგ, როგორც მწვრთნელი, განუყრელად იყო დაკავშირებული ქართული წყალბურთის ფლაგმანთან, თბილისის „დინამოსთან".

ირაკლი ჩხიკვაძეს ახლა უკვე 70 წლის გახლავთ, თუმც კვლავაც ქართული წყალბურთის ავ-კარგით სულდგმულობს და წუხს, რომ ავი კარგზე გაცილებით მეტია.

ირაკლი ჩხეიძეს თავისი „ცხოვრების წიგნი", კარგა ხანია, ყოველგვარი საწერ-კალმის გარეშე, თავისი საქმეებით აქვს „დაწერილი", მაგრამ მკითხველისთვის მაინც საინტერესო უნდა იყოს ის წიგნი, რომელიც უნობილი წყალბურთელისა და მწვრთნელის ავტორობით გამოვიდა.

მაშ, „ჩავუყაროთ ბურთები აუზში ბიჭებს!"



# რუსთაველი დადიანური რუსთავმა მოიგო

**მე-5 ადგილისთვის**

**დინამო 113:77 მაკაბი**

**37:19 22:19 35:13 19:18**

**დინამო:** დოლიძე (11), ნანიტაშვილი, სორდია (9), ლაფანაშვილი (37), თავამაიშვილი (4), სიგუა (5), ბოლქვაძე (12), ხანიაშვილი (14), კონკოტაძე (9), ბაქაშვილი (4), გემაზაშვილი, ხიზანიშვილი (8)
**მაკაბი:** კილაძე (3), პატარაია (3), მაღლაკელიძე (1), ჩლაიძე (6), ლონდარიძე (23), იოსელიანი (16), ივანეიშვილი (9), ელიკაშვილი (8), ბიბილური (8)
მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**მე-3 ადგილისთვის**

**თბილავიამშენი 128:95 თსუ**

**31:17 37:32 25:24 35:22**

**თბილავიამშენი:** ბერაია (29), ბერიშვილი (20), მათიაშვილი (15), ნინიაშვილი (16), პირველაშვილი (22), შერმადინი (8), ბოისა (18)
**თსუ:** დ. ბერიშვილი (24), გ. ბარბაქაძე (16), კოხრეიძე (12), მარკოიშვილი (8), ყველაშვილი (7), ახალკაცი (11), დ. ბარბაქაძე (17), დეკანოიძე
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ფინალი**

**ენერჯი-ინვესტი 101:73 სსუ**

**23:23 28:17 21:14 29:19**

**ენერჯი-ინვესტი:** გამყრელიძე (13), ბაბიაშვილი (13), მაკფერსონი (12), ლეჟავა (14), დიდია (4), ცეკვავა (3), ტულუში (8), უგრეხელიძე (10), რადოიჩიჩი (8), ტუჯანი (5), ჭოჭუა, ვუკადინოვიჩი (11)
**სსუ:** გულისაბედაშვილი (5), ძიძიგური, წივწივაძე (11), მ. ბერიშვილი (14), გასიტაშვილი (0), ტყეშელაშვილი (3), ათანელაშვილი (10), გვიმრაძე (14), ჩაჩიბაია (10), ბოქოლიშვილი (6)
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე



გამარჯვებული „ენერჯი-ინვესტი“

**დუდუ დადიანის** თასი კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა“, რომელმაც პირველი შეხვედრების მსგავსად, ფინალშიც საერთო ჯამში საკმაოდ იოლად მოახერხა გამარჯვება.

თასისათვის საბრძოლოდ მოედანზე რუსთაველები სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდს შეხვდნენ. პირველი ტაიმი მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მიხეილ კობეშავიძის ახლად შექმნილი გუნდის წევრები, მესამე მეოთხედის პირველ ნახევარშიც ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს, მაგრამ შემდეგ დაღლა დაეტყოთ, ან რუსთაველთა გუნდი, სრული დატვირთვით ამუშავდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

სსუ-მ პირველი მეოთხედი კარგად დაიწყო და მთელი ათი წუთის მანძილზე თამაში მიყავდა კიდეც, თუმც ბოლოს „ენერჯის“ მოთამაშეები გამოცოცხლდნენ და ათწუთეული 23:23 დასრულდა ლაშა გამყრელიძის ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანის შემდეგ.

რუსთაველებმა თამაში ძირითადად იმის ხარჯზე მოიგეს, რომ მთელი გუნდი ჩაერთო თამაშში, ყველაზე ცოტა დრო ხუთ-ხუთი წუთი რეზო დიდიამ, გოგა ცეკვავამ და მიხეილ ჭოჭუამ ითამაშეს. განაცხადში მყოფი თორმეტი კაციდან ექვსმა რუსთაველმა შეძლო ათი და მეტი ქულის დაგროვება.

გუშინ ისევ ვერ ვნახეთ პოლ მაკფერსონის ისეთი თამაში, რომელსაც მისგან ელის ქართველი გულშემატკივარი. მართალია, ყველა მოძრაობაზე ეტყობა მაღალი კლასი, მაგრამ ჯერჯერობით ეს იშვიათ მომენტებში ჩნდება.

გუშინ დიდად ვერც სერბმა ლეგიონერებმა გამოიჩინეს თავი, მაგრამ იმედია, ეს ტრიო თავის საქმეს უშუალოდ ევროთასის შეხვედრისას გააკეთებს.

დუდუ დადიანის მემორიალს ფინალური მატჩის მოგების საქმეში მთავარი როლი მაინც ქართველებმა შეასრულეს. რუსთაველებმა პირველ მეოთხედში საქმეები მას შემდეგ გამოასწორეს, რაც მოედანზე მათ შემადგენლობაში ხუთივე კალათბურთელი ქართველი იყო, შემდეგ კი წავიდა და წავიდა. „ენერჯიმ“ მოუმატა და [illegible] გაჩერებამ ვეღარ მოახერხეს ახალგაზრდა კალათბურთელებმა.

სანამ ფინალური დაპირისპირება დაიწყებოდა, შედგა ჯერ მეხუთე ადგილის, შემდეგ კი მესამე ადგილებისათვის თამაში.

მეხუთე ადგილისთვის მატჩში, „დინამომ“ დაამარცხა „მაკაბი“. თანაც საკმაოდ იოლად. ეს მესამე მატჩი იყო ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდისთვის და ყველა შემთხვევაში, მათი მეტოქე ას ქულას ასცდა. დინამოელთა გამარჯვებაში, მთავარი როლი, გუნდის კაპიტანმა ლექსო ლაფანაშვილმა შეასრულა.

დუდუ დადიანის მემორიალზე მესამე ადგილი „თბილ-ავიამშენს“ დარჩა. მათ საკმაოდ დიდი სხვაობით სძლიეს თსუ-ს. ამ შეხვედრაში, ლევან მოსეშვილის ბიჭები ერთმანეთზე უკეთ თამაშობდნენ. მათგან ექვსმა მოთამაშემ დააგროვა თხუთმეტ ქულაზე მეტი.

„ავიატორთა“ ორმა მოთამაშემ, გიორგი პირველაშვილმა და ირაკლი ბერიშვილმა ორმაგი დუბლი შეასრულეს. პირველმა მათგანმა 22 ქულას, 14 მოხსნაც დაუმატა, მეორემ კი 20 ქულასთან ერთად 12 შედეგიანი გადაცემაც შეასრულა. თსუ-ს წაგების უმთავრესი მიზეზი კი არ იყო, რომ მათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე კალათბურთელი აკლდათ — შიო ხეცურიანი, ლუკა შანიძე და გიორგი გაფრინდაშვილი.

**გიორგი არაგული**

---

რაგბი

ყვარციტი QUARTZITE

# ყოჩი არ იშლის ყოჩობას

**საქართველოს ჩემპიონატი**

**ლოკომოტივი 9:14 ლელო**

**ლოკომოტივი:** წიკლაური, ტუჩაშვილი, ჭამუტაშვილი, კობერიძე, ჩიტიძე, კვინიხიძე, ღვინჯილია; პეტრიაშვილი, ტურაშვილი, ნაცარაშვილი, ნიშნიანიძე, გუჯარაიძე, გენებაშვილი, ახვლედიანი, ბერიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: კორკოტაძე, ზარიძე
პს: კვინიხიძე
**ლელო:** ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კოპალიანი, თოდუა, ცერცვაძე, ხმალაძე, გოგია; ყალიჩავა, ყაჭეიშვილი, მირცხულავა, დაუშვილი, ჯალალონია, აზალაძე, ცხოვრებაშვილი, სიხარულიძე
შეცვლაზე შევიდა: ჩხეიძე
ლ: ყიასაშვილი; პს: ყიასაშვილი

**ყოჩები 24:7 უნივერსიტეტი**

**ყოჩები:** გაბუნია, გეგენავა, მაისურაძე, გრძელიშვილი, მახარაშვილი, მალალურაძე, ბეგაძე; გ. ნიჟარაძე, ბრეგვაძე, ასეიშვილი, ბელაშვილი, თოთაძე, ცხადაძე, კალმახელიძე, დგებუაძე
შეცვლაზე შევიდნენ: გოგიშვილი, ხელაძე, კიკუაშვილი, დადიშიანი, კობახიძე, კოპაძე
პლ: ნიჟარაძე, გეგენავა, ბელაშვილი; პგ: მალალურაძე; ჩ: მალალურაძე
**უნივერსიტეტი:** ბაირამაშვილი, ტუჩაშვილი, კუპრეიშვილი, ნუცუბიძე, კავთიძე, ნადარეიშვილი; ქორიძე, ზაბახიძე, კაკოვინი, სურგულაძე, მამაცაშვილი, ლადო კილასონია, დარასელია, გუნავა
შეცვლაზე შევიდნენ: ლუკა კილასონია, ალადაშვილი
ლ: დარასელია; ?გ: კუპრეიშვილი

**აია 40:18 აკადემია**

**არმაზი 41:15 დინამო**

**საქართველოს** ჩემპიონატის მე-11 ტური რაგბიში დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქუთაისში „აიამ“ საკმაო სხვაობით დაამარცხა „აკადემია“. „არმაზმა“ „შევარდენის“ სტადიონზე თითქმის მთლიანად დაშლილ „დინამოს“ სძლია.

ეს ორი მატჩი სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევრის ბედს წყვეტდა, ტურის მთავარი თამაშები კი „სინათლეზე“ გაიმართა — მესამეადგილოსანი „უნივერსიტეტი“ ერთი საფეხურით ქვემოთ მყოფ „ვისოლი-ყოჩებს“ დაუპირისპირდა და მეორე წრეში მოღონიერებულ შარშანდელ ჩემპიონთან და თასის მფლობელთან ვერაფერი გააწყო.

გაშლილი და ლაღი თამაში იყო. დაძაბულობაც არ აკლდა. „ვისოლი-ყოჩებმა“ ფეხით თამაშში აშკარად დაჯაბნა მეტოქე, ლაშა მალალურაძემ, ნაკრების პივოტმა, მიუხედავად ძლიერი ქარისა, ფეხი კარგად ურტყა.

პირველი ლელოც ფეხით თამაშს მოჰყვა — „უნივერსიტეტის“ დაცვის ზურგიდან ჩაკიდებულს კარგად დახვდა ახალგაზრდა ფულბეკი გიგი გაბუნია. მანვე კარგად დააბრუნა ბურთი მეტოქის ოცდაორში, რასაც ფულბეკის უხეირო დარტყმული მოჰყვა. „ვისოლი-ყოჩებმა“ ბურთი მარჯვედ გაიტაცეს, რაქის შემდეგ ფრთაზე გაშალეს შეტევა და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, პირველმა ნომერმა ბურთი შეიცურა და ლელოც თავად დადო.

აღსანიშნავია, რომ ფეხით ორჯერ და თანაც საკმაოდ ეფექტურად ითამაშა ჰუკერმა ჯაბა ბრეგვაძემაც. განსაკუთრებით საშიში იყო უკანა ხაზიდან ირაკლი გეგენავას გარღვევები. „ვისოლი-ყოჩების“ თოთხმეტმა ნომერმა, რომელმაც წინა ტურში ექვსი კაცი ჩამოიტოვა და ლელო ისე გაიტანა, ახლაც იგივე გაიმეორა და მეტოქეს მეორე ლელო მიართვა. ირაკლისავე გარღვევას მოჰყვა მესამე ლელოც. შარშანდელმა ტრიუმფატორებმა „უნივერსიტეტს“ შანსი არ დაუტოვეს. მათ გრძელ პასებს, შეტევის მიმართულების ხშირ ცვლას, მოწინააღმდეგე დაცვაში სწრაფ გადაწყობას ვერ უპირისპირებდა, შეტევაშიც მხოლოდ და მხოლოდ ვასილ კაკოვინის გარღვევები იყო ეფექტური.

მატჩის მიწურულს, „ვისოლი-ყოჩებმა“ ტრადიციული შეცვლა გააკეთეს — მოედანზე ვეტერანები ზვიად კიკუაშვილი და კახა კობახიძე გამოჩნდნენ. ამ უკანასკნელის სათამაშო კლასმა „ლოკომოტივთან“ წინა ტურის მატჩში თანაგუნდელების მიერ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაში დიდი როლი ითამაშა და მატჩი „ვისოლი-ყოჩებისთვის“ სასურველი ანგარიშით დასრულა.

მატჩის მიწურულს უნივერსიტეტელთა შერკინებით მიძალებამ შედეგად მხოლოდ ერთი ლელო გამოიღო. ასე რომ, „ვისოლი-ყოჩები“ გასული სეზონის ფორმას თანდათანობით იბრუნებს, რაც საპლეიოფო მატჩებს მეტ ინტრიგას მატებს.

„ლოკომოტივი“ — „ლელოს“ დაპირისპირებამ ზედმეტად დაძაბულ და ძალისმიერ ორთაბრძოლაში ჩაიარა. იყო გაწევ-გამოწევაც, მაგრამ ისეთი, სარაგბო ნორმებს რომ არ სცდება. პირველ ნახევარში თამაში ჩაიხურა. ბურთი იშვიათად გადიოდა ხაზზე, შერკინების მოლები და რაქები თამაშს აჩერებდა და სანახაობრივად დუნეს ხდიდა.

„ლელომ“ ეფექტური ლელო დადო — აუტი სუფთად მოიგეს, დაცვის ხაზს შუაში დაარტყეს, ბლომად ლოკომოტიველები ჩაითრიეს და ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნის შემდეგ ლელოს გატანაც არ გასჭირვებიათ. ამის შემდეგ გუნდებმა სამ-სამი ჯარიმა გაცვალეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ „ლელოს“ ხუთი ქულით ემარჯვა.

მეორე ნახევრის ბოლოს „ლოკომოტივი“ მოწინააღმდეგის ოცდაორში დამკვიდრდა, თამაშიც გაშალა, თუმცა შეტევის დასკვნით ფაზაში მიუტევებელი შეცდომები გუნდს ძვირად დაუჯდა. რკინიგზელებს რამდენჯერმე წინ გაუვარდათ ბურთი და სალელოვე შეტევები ჩაეშალათ.

**ნიკა ძოპაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 0 | 3 | 366:151 | 16 |
| ლელო | 8 | 0 | 3 | 232:199 | 16 |
| ვისოლი-ყოჩები | 7 | 0 | 4 | 217:179 | 14 |
| უნივერსიტეტი | 6 | 1 | 4 | 218:202 | 13 |
| აია | 5 | 1 | 5 | 205:208 | 11 |
| აკადემია | 5 | 0 | 6 | 198:236 | 10 |
| არმაზი | 2 | 0 | 9 | 196:260 | 4 |
| დინამო | 2 | 0 | 9 | 182:379 | 4 |

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ვისთვის გაფუჭდება ამინდი
## პრაგმატისტი ჰემილტონი და ფერარის მაქსიმალიზმი

**იწვიმებს**, არ იწვიმებს — აი, ასე მკითხაობენ სინოპტიკოსები ხვალ ფუჯის ავტოდრომზე გასამართი იაპონიის დიდი პრიზის წინ. შარშან იაპონიაში კოკისპირულად წვიმდა და ყველას „მაკლარენ-მერსედესის" მრბოლმა ლუის ჰემილტონმა აჯობა, მეორეზე კი „რენოს" ჰეიკი კოვალაინენი გავიდა, ვინც წლეულს „მაკლარენში" ჰემილტონის თანაგუნდელია.

ეგეც არ იყოს, ჰემილტონმა, თავის ორწლიან კარიერაში, უკვე დაიმკვიდრა „წვიმის კაცის" სახელი და ახლა, როდესაც ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ეტაპიღა დარჩა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს, „მაკების" ბანაკში იქნებ ნატრობენ კიდეც ავდარს, თუმცა თავად ჰემილტონი, რომელიც შვიდქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს გენერალურ კლასიფიკაციას, ამბობს, პირადად ჩემთვის ამინდს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იმდენად ვარ მოხიბლული იაპონელი ქომაგებით, რომ მსურს, კარგი ამინდი იყოს, რათა მათ სრული სიამოვნება მიიღონო.

ჰემილტონმა ისიც თქვა, შარშანდელი სეზონის მიწურული, როდესაც თითქმის მოპოვებული ჩემპიონოა ხელიდან გამიფრინდა, მწარედ მახსოვს და თუ სასიცოცხლოდ აუცილებელი არ იქნება, არანაირ რისკზე არ წავალ, ოღონდ საერთო ჩათვლაში არსებული უპირატესობის შენარჩუნებას შევეცდებიო.

და, რას ფიქრობენ ამ დროს „ფერარის" ბანაკში? განსაკუთრებულს არაფერს. „სკუდერიას" მათემატიკოსებმა მარტივად დაიანგარიშეს და დაადგინეს, იმისთვის, ორივე ტიტული რომ მოვიგოთ, ანუ შარშანდელის მსგავსად პირადი პირველობაც მოვიპოვოთ და გუნდურიც, სეზონის ბოლომდე დარჩენილ სამივე ეტაპზე დუბლი უნდა გავახერხოთო.

დუბლიც არის და დუბლიც — „ფერარის" ბანაკში ისე უნდათ, რომ ფინიშთან პირველი ბრაზილიელი ფელიპე მასა იყოს, ხოლო მასასა და ჰემილტონს შორის ჯერაც მოქმედი ჩემპიონი, ფინელი კიმი რაიკონენი ჩადგეს.

ჰემილტონის სისწრაფესა და იაპონური ამინდის კაპრიზებს თუ გავითვალისწინებთ, არ არის ადვილი გასაკეთებელი საქმე, მით უმეტეს, რომ მსგავსი, შემდეგ კიდევ ორჯერ უნდა გაიმეორო — ჩინეთსა და ბრაზილიაში.

თუმცა, ჯერ იქამდე შორია, იქამდე იაპონიაა და ყველა ამ კონკრეტული რბოლისთვის ემზადება.

იაპონიის დიდი პრიზი წლების მანძილზე „სუძუკას" ავტოდრომზე ტარდებოდა. ფუჯიმ „სამეფო მრბოლებს" უკვე შორეულ, 1976-77 წლებში უმასპინძლა და ის რბოლები ამერიკელი მარიო ანდრეტისა და ბრიტანელი ჯეიმს ჰანტის გამარჯვებებით დასრულდა. ჰანტის გამარჯვებიდან 30 წლის შემდეგ ფუჯის ავტოდრომი ფორმულა 1-ის კალენდარში დაბრუნდა და ისევე, როგორც 30 წლის წინ, კვლავაც ბრიტანელმა და კვლავაც „მაკლარენის" პილოტმა ლუის ჰემილტონმა იმარჯვა.

მანამდე კი, როგორც ვთქვით, იაპონიის დიდი პრიზი „სუძუკას" ავტოდრომზე ტარდებოდა. იქ ყველაზე მეტი, ექვსი დიდი პრიზი, რაღა გასაკვირია და მიხაელ შუმახერმა მოიგო, რომელმაც 1995 წელს „ბენეტონით" იმარჯვა, ხოლო 1999-2002 და 2004 წლებში „ფერარით" მიაღწია წარმატებას.

დღეს მოქმედი მრბოლებიდან იაპონიის დიდი პრიზი ოთხს აქვს მოგებული — 2003 წელს ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს „ფერარი" იყო ყველაზე სწრაფი, 2005 წელს კიმი რაიკონენმა იმარჯვა „მაკლარენით", 2006-ში პირველი ფერნანდო ალონსოს „რენო" იყო, ხოლო შარშან, როგორც ვთქვით, კოკისპირულ წვიმაში ყველას ლუის ჰემილტონმა აჯობა. ერთი კია, ჰემის გარდა, დანარჩენებმა „სუძუკაზე" იმარჯვეს და აქედან გამომდინარე, ლუისს ფუჯის ავტოდრომზე მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობაც აქვს.

ისტორიაში ძალზე ხშირად ყოფილა, რომ ჩემპიონის ბედი სწორედ იაპონიაში გადაწყვეტილა ხოლმე. წლეულს ასე ვერანაირად ვერ მოხდება, რადგანაც ჰემილტონმა რომც მოიგოს, ხოლო მასა უქულოდ დარჩეს, მათ შორის სხვაობა 17 ქულამდე გაიზრდება და ორი ეტაპი, ანუ 20 ქულის მარაგი კიდევ იქნება დარჩენილი.

თუმცა, ეს ყველაფერი მკითხაობაა და რეალურად რა როგორ იქნება, ხვალ, ჩვენი დროით დილის ათი საათისთვის გაირკვევა. მანამდე კი, გუშინ, თავისუფალი პრაქტიკები იყო, რომელთაგან პირველში საუკეთესო დრო ჰემილტონმა აჩვენა, მეორე მასა იყო, მესამე — კოვალაინენი, მეოთხე — რაიკონენი, მეხუთე დრო კი ალონსოს ჰქონდა. მეორე თავისუფალი პრაქტიკისას ყველას, უკვე „ტოიოტას" გერმანელმა ტიმო გლოკმა აჯობა. ამჯერად მეორე ალონსო იყო, მესამე — ჰემილტონი, მეოთხე — მასა და მეხუთე — რაიკონენი.

**კახა ლომაძე**

---

Formula 1

[illegible] | იაპონიის დიდი პრიზი

**ფუჯი**

*ფუჯი, 12 ოქტომბერი*




**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **4.563 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------- **67 წრე — 305.721 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 08-30 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1. ჰემილტონი (მაკლარენი); 2. კოვალაინენი (რენო); 3. რაიკონენი (ფერარი); 4. კულტჰარდი (რედბული); 5. ფიზიკელა (რენო); 6. მასა (ფერარი); 7. კუბიცა (BMW-ზაუბერი); 8. ვიტანტონიო ლიუცი (ტორო როსო)

**წრის რეკორდი:** 2007 — ჰემილტონი (მაკლარენი) 1:28.193

---



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

9 ოქტომბერი

**დეტროიტი 2:3 ტორონტო**
*0:1 1:1 1:1*

0:1 კუბინა (20), 0:2 მური (36), 1:2 ჰოლმსტრომი (37), 1:3 კულემინი (48), 2:3 ჰოლმსტრომი (50)

**კოლორადო 4:5 ბოსტონი**
*2:2 1:1 1:2*

0:1 კესელი (7), 1:1 ჰეიდუკი (11), 1:2 ვილერი (11), 2:2 ვოლსკი (15), 3:2 მაკლაუდი (27), 3:3 სავარი (31), 3:4 რაიდერი (46), 4:4 ლეოპოლდი (51), 4:5 კრეიჩი (58)

**ვანკუვერი 6:0 კალგარი**
*1:0 2:0 3:0*

1:0 ჰ. სედინი (17), 2:0 ბერნიე (21), 3:0 ბაროუზი (22), 4:0 ბაროუზი (43), 5:0 ელუნდი (51), 6:0 რაიპენი (55)

**სან ხოსე 4:1 ანაჰაიმი**
*0:0 2:0 2:1*

1:0 ჩიჩუ (23), 2:0 ჩიჩუ (27), 3:0 ეპჰოფი (43), 3:1 რ. ნიდერმაიერი (55), 4:1 სეტოგუჩი (56)



**კაცები**
მოსკოვი. რუსეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 049 000 დოლარი

### მეორე წრე

**მარატ საფინი** (7, რუსეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:4 0:6 6:2; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — დუდი სელა (ისრაელი) 6:7 7:5 7:6

### მეოთხედფინალი

**მიშა ზვერევი** (გერმანია) — ვიქტორ ტროიცკი (1, სერბეთი) 6:4 3:6 7:5; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — მატიო 6:3 2:0 (უარი)

**კაცები**
ვენა. ავსტრია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 674 000 ევრო

### მეორე წრე

**კარლოს მოია** (ესპანეთი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 4:6 7:5 7:6; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 7:6; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ხერალდინო სანტიაგო (კოლუმბია) 7:6 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) უარი; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) 6:4 6:3

**კაცები**
სტოკჰოლმი. შვედეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 713 000 ევრო

### მეორე წრე

**დავიდ ნალბანდიანი** (1, არგენტინა) — იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:3 6:2; **ალბერტ მონტანესი** (7, ესპანეთი) — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 1:6 6:3 6:2; **იარკო ნიემინენი** (7, ფინეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4 6:7 6:2; **ოსკარ ერნანდესი** (არგენტინა) — ხოსე აკასუსო (6, არგენტინა) 2:6 6:3 6:4; **რაინერ შუტლერი** (5, გერმანია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:6 6:3; **რობინ სოდერლინგი** (4, შვედეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:3 6:3; **კეი ნიშიკორი** (იაპონია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1 1:6 7:5; **მარიო ანჩიჩი** (2, ხორვატია) — სტივ დარსისი (ბელგია) 7:6 6:4

**ქალები**
მოსკოვი. რუსეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 დოლარი

### მეორე წრე

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:7 6:3 6:2; **ფლავია პენეტა** (იტალია) — ელენა მაკაროვა (რუსეთი) 3:6 6:4 6:4

### მეოთხედფინალი

**ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:4 4:6 7:6; **ვერა ზვონარიოვა** (7, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 7:5 6:4




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge